გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

ვერსია

ფასი 40 თეთრი

№129 (885) 6 – 8 დეკემბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

მარგელონი – „საუკუნის წყევლა"

SOS საფრთხე!

ყველაზე სასტიკ და უახლეს დაავადებას **გენმოდიფიცირებული ორგანიზმები** იწვევს!

გვ. 5

ექსკლუზიური ინტერვიუ კახა კალაძესთან

„ახალი ხელისუფლება, ქვეყნის მოსახლეობა წინა ხელისუფლების დანაშაულებრივი გულგრილობის შედეგს ვიმკით!"

გვ. 3

ექსკლუზიური ინტერვიუ ლუდმილა ნარუსოვასთან

გვ. 8

დავით თარხან-მოურავი ირაკლი მელაშვილისა და ზაზა მეფარიშვილის თანამდებობიდან მოხსნას ითხოვს

გვ. 4

გვ. 7

რეზო შატაკიშვილი

სტურუას პარადოქსი

პრეზიდენტის ხელფასი 9 000 ლარამდე გაიზრდება

ფინანსთა მინისტრის, ნოდარ ხადურის განმარტებით, მოქმედი პრეზიდენტის შრომის ანაზღაურება 9 000 ლარამდე გაიზრდება, ამ თანხიდან კი პრეზიდენტი ყოველთვიურად ხელზე 7 200 ლარს აიღებს. ფინანსთა მინისტრის განცხადებით, პრეზიდენტს წელს იმ ხარჯის გაწევა აღარ მოუწევს, რაც წინა წლებში ხდებოდა, ამდენად მისი შრომის ანაზღაურების გაზრდის ფინანსური შესაძლებლობა არსებობს: **„გიორგი მარგველაშვილის შრომის ერთადერთი ანაზღაურება, წინა პრეზიდენტისგან განსხვავებით, იქნება ხელფასი. ადმინისტრაციაში მნიშვნელოვანი ცვლილებებია დაგეგმილი, მათ შორის შემცირება იმიტომ, რომ ფუნქციებიც მცირდება. შესაბამისად, არსებობს რესურსი, რომ შრომის ანაზღაურების საკითხი მოწესრიგდეს“.**

ამჟამად, პრეზიდენტის ხელფასი 4 720 ლარითაა განსაზღვრული.

„ნიუსპრესი“

ჯარიმების შემცირებასთან დაკავშირებით, კანონპროექტს პარლამენტი დაჩქარებული წესით განიხილავს

შინაგან საქმეთა მინისტრის, ალექსანდრე ჭიკაიძის ინფორმაციით, ავტოსაგზაო ჯარიმებთან დაკავშირებული კანონპროექტი მთავრობამ დაჩქარებული წესით განიხილა: **„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებები მთავრობის სხდომაზე დაჩქარებული წესით განვიხილეთ. ასევე დაჩქარებული წესით გადაეგზავნება ის პარლამენტს და კანონპროექტს საკანონმდებლო ორგანოც დაჩქარებული წესით განიხილავს. საზოგადოების სოციალური მდგომარეობა გავითვალისწინეთ და ადმინისტრაციული ჯარიმების შემცირების გადაწყვეტილება ამიტომ მივიღეთ — ჯარიმები თითქმის ნახევრდება. იგივე ხდება საურავებთან დაკავშირებითაც“.**

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილ სამართალდარღვევებზე სახდელის ოდენობა მცირდება.

კანონპროექტის მიხედვით, 125-ე მუხლის პირველი ნაწილით, სიჩქარის გადაჭარბებისათვის გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობა (რადარები) – 100 ლარი განახევრდება და დამრღვევი მძღოლი 50 ლარით დაჯარიმდება, ხოლო აღნიშნული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, არსებული საურავის ოდენობა 500-ის ნაცვლად, 150 ლარამდე შემცირდება. ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში, სამართალდამრღვევს მართვის უფლება 2 წლის ნაცვლად, 6 თვით ჩამოერთმევა, ხოლო ჩამორთმეული მართვის უფლების შეცვლა 1500-ლარიანი ჯარიმის ნაცვლად, 500-ლარიანი ჯარიმით იქნება შესაძლებელი.

125-ე მუხლის მე-8 ნაწილი დგომა-გაჩერების წესების დარღვევისთვის 10-ლარიან ჯარიმას და გადაუხდელობის შემთხვევაში 150-ლარიან საურავს ითვალისწინებს. ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში, შსს-ს ინიციატივით, დამრღვევ მძღოლს 1 წლის ნაცვლად, მართვის უფლება 6 თვის ვადით ჩამოერთმევა, ხოლო ჩამორთმეული მართვის უფლების შეცვლა 1000-იანის ნაცვლად 500-ლარიანი ჯარიმით იქნება შესაძლებელი.

ასევე, 125-ე მუხლის მე-71 ნაწილით, ღერძულა ხაზის გადაკვეთისთვის 100- ლარიანი ჯარიმა ნახევრდება და მისი ოდენობა 50 ლარი იქნება. ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, მძღოლს 500-ის ნაცვლად, 150 ლარის ოდენობით დაერიცხება საურავი. ჯარიმისა და საურავის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში კი დამრღვევ მძღოლს მართვის უფლება 2 წლის ნაცვლად, 1 წლის ვადით ჩამოერთმევა, ხოლო ჩამორთმეული მართვის უფლების შეცვლა 1500-ლარიანი ჯარიმის ნაცვლად, 500-ლარიანი ადმინისტრაციული ჯარიმით იქნება შესაძლებელი.

მცირდება აგრეთვე 125-ე მუხლის მე-72 ნაწილით, განმეორებით ღერძულა ხაზის გადაკვეთისთვის 200-ლარიანი ჯარიმა და მისი ოდენობა 100 ლარი იქნება. ჯარიმის და საურავის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში კი 2 წლის ნაცვლად, მართვის უფლება 1 წლის ვადით ჩამოერთმევა, ხოლო ჩამორთმეული მართვის უფლების შეცვლა 1500-ლარიანი ჯარიმის ნაცვლად 1000-ლარიანი ადმინისტრაციული ჯარიმით იქნება შესაძლებელი.

ასევე განახევრდა 116-ე, 117-ე, 1181-ე, 1182-ე, 1183-ე, 119-ე, 120-ე, 121-ე, 123-ე, 125-ე, 127-ე და 1271-ე მუხლებით დადგენილი ჯარიმებისა და საურავების გადაუხდელობის შემთხვევაში მართვის უფლების ჩამორთმევის ვადები და ჩამორთმეული მართვის უფლების ჯარიმით შეცვლის თანხები, კერძოდ: ამ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა ჩადენისთვის ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს მართვის უფლება 1 წლის ნაცვლად, 6 თვით ჩამოერთმევა, ხოლო 2 წლის ნაცვლად – 1 წლით. ჩამორთმეული მართვის უფლების ჯარიმით შეცვლის შემთხვევაში, თუ მართვის უფლება 6 თვითაა ჩამორთმეული, ჯარიმის ოდენობა 1000-ის ნაცვლად 500 ლარი იქნება, ხოლო 1 წლით ჩამორთმევის შემთხვევაში, 1500-ის ნაცვლად 1000 ლარი.

„ნიუსპრესი“

„თვითმმართველობის კოდექსის“ პროექტში ცვლილებები შევა

„თვითმმართველობის კოდექსის“ პროექტში რამდენიმე ნორმა შეიცვლება და საკანონმდებლო ორგანოს განსახილველად პროექტის უფრო დახვეწილი ვარიანტი წარედგინება, — ავრცელებს ინფორმაციას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია.

კონკრეტულად რომელ საკითხებს ეხება ცვლილებები, ჯერჯერობით, უცნობია.

ნარმანიას თქმით, „თვითმმართველობის კოდექსის“ პროექტზე მთავრობაში ბოლო დღეებში აქტიური კონსულტაციები გაიმართა: **„საქართველოს მთავრობაში და უმრავლესობის წევრებთან ინტენსიური კონსულტაციები გაიმართა. აქედან გამომდინარე, რამდენიმე ნორმას გადავხედეთ და შევცვალეთ. შესაბამისად, მოდიფიცირებულ და უფრო დახვეწილ ვარიანტს წარმოვადგენთ“.**

თვითმმართველობის კოდექსის პროექტთან დაკავშირებით პრეტენზიებს ოპოზიციური პარტიებიც გამოთქვამენ და აცხადებენ, რომ იგი სეპარატიზმის საფრთხეს შეიცავს.

ამავე პროექტს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორეც გამოეხმაურა. **„თვითმმართველობის კოდექსი თუ განხორციელდა, ეს მიგვიყვანს საქართველოს დაშლამდე, დარღვევამდე. ამას არასოდეს შევურიგდებით“,** — ბრძანა პატრიარქმა და ხელისუფლებას მოუწოდა, არ იჩქაროს კანონპროექტის მიღება. გავრცელებული ინფორმაციით, ამ საკითხთან დაკავშირებით, ხელისუფლების უმაღლესი პირები პატრიარქს შეხვდნენ.

„ნიუსპრესი“

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტიკური მდივანი გია ვოლსკი იქნება

ეს გადაწყვეტილება პარტიის პოლიტსაბჭოს მორიგ სხდომაზე მიიღეს, რომელიც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით გაიმართა.

პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრებმა საორგანიზაციო-სტრუქტურულ საკითხებზე იმსჯელეს. ამასთან გადაწყდა, რომ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ იურიდიული საკითხების მდივნის პოსტს ირინა იმერლიშვილი დაიკავებს, საერთაშორისო საკითხების მდივანი არმაზ ახვლედიანი იქნება, ხოლო ახალგაზრდულ ფრთას ირაკლი გვილავა უხელმძღვანელებს.

პრემიერ-მინისტრმა ეკონომიკური საბჭო შექმნა

პრემიერთან არსებული საბჭოს სხდომა უკვე გაიმართა, საბჭოს 12 წევრი ჰყავს. მის შემადგენლობაში შედიან — ეკონომიკური გუნდის მინისტრები, საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელი, „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორი, თანაინვესტირების ფონდის ხელმძღვანელი, ბიზნესომბუდსმენი.

ამასთან, საბჭომ თხოვნით მიმართა ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, პრემიერთან არსებული საბჭოს მუშაობაში ჩაერთოს.

საბჭომ პირველ სხდომაზე მიმდინარე ეკონომიკური საკითხები განიხილა და ეკონომიკური გარემოს განვითარების პერსპექტივებზე იმსჯელა.

„ნიუსპრესი“

მესაზღვრეებმა პანამის დროშით მცურავი გემი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტიდან შესული შეტყობინების საფუძველზე, საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს დასავლეთის ოპერატიული განყოფილების თანამშრომლებმა, ფოთის პორტის გარერეიდზე, ნაოსნობის წესების დარღვევის ფაქტზე, პანამის დროშით მცურავი მშრალტვირთმზიდი გემი AYLIN დააკავეს.

სასაზღვრო პოლიციის პრესსამსახურის ინფორმაციით, აღნიშნული გემის კაპიტნის, თურქეთის მოქალაქის მიმართ საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 114-ე (პრიმა ერთი) მუხლის I ნაწილით ადმინისტრაციული საქმისწარმოება დაიწყო. საქმეს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველო აწარმოებს.

აღნიშნული გემის კაპიტანს, დასავლეთის ოპერატიული სამმართველოს უფროსის დადგენილებით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 50 000 ლარის ოდენობით ჯარიმა დაეკისრა.

„ნიუსპრესი“

კახა კალაძე: „ახალი ხელისუფლება, ქვეყნის მოსახლეობა წინა ხელისუფლების დანაშაულებრივი გულგრილობის შედეგს ვიმკით!“

ანი დადიანი

ნოემბერი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში გამორჩეული იყო. საქართველოს ჰყავს ახალი პრეზიდენტი, ახალი პრემიერ-მინისტრი, ცვლილებები განხორციელდა მმართველ პარტიაში და ვილნიუსის სამიტზე მოხდა ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება. მიმდინარე მოვლენების შესახებ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს, კახა კალაძეს ვესაუბრეთ, რომელიც ვიცე-პრემიერის პოსტსა და პარტია „ქართული ოცნების“ გენერალური მდივნის თანამდებობასაც იკავებს.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი და „ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი ოპონენტების ყველა კითხვას პასუხობს

— განვლილმა ერთმა წელმა აჩვენა, რომ კაბინეტმა ღირსეულად გაართვა თავი რთულ და პრობლემატურ გარდამავალ ეტაპს. გარდა იმისა, რომ მძიმე მემკვიდრეობა გვხვდა წილად, სახეზე გვქონდა ხელისუფლების აღმასრულებელი შტოს გაყოფა, როდესაც პრეზიდენტი, მისი მხარდამჭერები სხვადასხვა პოზიციებზე, მნიშვნელოვნად აფერხებდნენ მთავრობის საქმიანობას. გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაციის მომენტიდან ამოქმედდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც საპრეზიდენტო ინსტიტუტს, აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას ეხება. ეს არის ის დაბალანსებული სახელმწიფო მართვის მოდელი, რასაც შევპირდით ამომრჩეველს და ამიერიდან, საქართველოს მოსახლეობა ერთ პიროვნებაზე, რაღაც პოლიტიკურ ჯგუფზე მორგებული რეჟიმისგან სავსებით დაზღვეულია. მნიშვნელოვანი მოვლენაა ბატონი ბიძინა ივანიშვილის ღვაწლი და მის მიერ პრემიერ-მინისტრის თანამდებობის დატოვება, რაც ბოლომდე ჯერაც არ არის გააზრებული და შეფასებული. რაც შეეხება ახალ პრემიერს, ცხადია, მისი და მთავრობის მოღვაწეობა იქნება დაწყებულის გაგრძელება და ყველა იმ დანაპირების შესრულება, რაც კოალიციამ საარჩევნოდ გასცა.

— თქვენ დაიკავეთ „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის თანამდებობა. გარკვეული გადაადგილებები პარტიაშიც იყო და საპარლამენტო ფრაქციაშიც.

— „ქართული ოცნება“ ხალხის დაკვეთით შექმნილი პარტიაა. ჩვენ გვაქვს ამბიცია, ვთქვათ ახალი სიტყვა ქართულ პოლიტიკაში. პირადად ჩემი, ირაკლი ღარიბაშვილისა და ჩვენი თანამოაზრეების სურვილია, გამოვიყვანოთ ქართული პოლიტიკა მოჯადოებული წრიდან, მოვუსმინოთ ხალხს. მოსახლეობის ჩართულობა და ინტერესი უნდა იყოს სისტემური და გააზრებული. მაღალი პოლიტიკური კულტურა, ახალი სახეები კი თავისთავად განაპირობებს საზოგადოებისა და პოლიტიკოსების ახალ საფეხურზე გადასვლას. ახალი მოთხოვნების, გამოწვევების ფონზე, თავისთავად დაიწმინდება პარტიული მრავალფეროვნება და გამარგინალებული, გაცვეთილი სახეები. არ შეიძლება, პოლიტიკოსი იყოს ამომრჩევლისგან მოგლეჯილი, სხვა განზომილებაში და ფიქრობდეს მხოლოდ საკუთარ პოლიტიკურ კარიერაზე. ასეთმა პოლიტიკურმა თამაშებმა სადამდე მიიყვანა ჩვენი ქვეყანა, ყველამ შესანიშნავად ვიცით.

— გადავიდეთ საერთაშორისო მოვლენებზე, რა ზემოქმედებას მოახდენს ასოცირების ხელშეკრულება საქართველოს სამომავლო განვითარებაზე?

— საქართველოს გაუჭირდება ეკონომიკის გაზრდა, სამუშაო ადგილების შექმნა, ცხოვრების დონის ამაღლება, თუკი არ გვექნება ურთიერთობა დიდ საბაზრო სივრცეებთან. დღეს ვდგავართ არჩევანის წინაშე: გეზი ავიღოთ ევროპული სივრცისა და ბაზრისკენ თუ დავრჩეთ პოსტსაბჭოთა სივრცეში. ძირითადი განსხვავება მათ შორის მასშტაბს, თამაშის წესებსა და ხარისხშია. ვილნიუსის სამიტზე ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება საქართველოსთვის საეტაპოა. ეს პროცესი დიდი ხანია მიმდინარეობს და, ვიმედოვნებთ, უახლოეს მომავალში დასრულდება ხელშეკრულების ხელმოწერით, რის შემდეგაც ევროკავშირთან ურთიერთობის მორიგი ეტაპი დაიწყება. მაგალითისთვის, მსგავსი დოკუმენტი 60-იან წლებში ევროპასთან გააფორმა თურქეთმა და ვინც ამ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ისტორიას იცნობს, დამემოწმება, რამდენად დიდი ბიძგი მისცა მან თურქეთის აღმავლობასა და გაძლიერებას. ამიტომაც მნიშვნელოვანია, თითოეულ მოქალაქეს ესმოდეს, რას ნიშნავს და რას მოგვიტანს ეს ფაქტი უახლოეს მომავალსა თუ გრძელვადიან პერსპექტივაში. უპირველეს ყოვლისა, მოხდება ქვეყნის კანონმდებლობის ადაპტირება ევროპულთან. ევროკავშირი დაეხმარება საქართველოს, რათა საკუთარი ხარისხის ინფრასტრუქტურა და კანონმდებლობა ევროპულთან შესაბამისობაში მოვიყვანოთ.

— კონკრეტულად, რას გულისხმობს ეს შესაბამისობა?

— ეს ნიშნავს, რომ ქვეყნის შიდარეგულაციები და სტანდარტები, პრინციპში, არც არსებობს, გადაგვყავს ევროპულ სტანდარტებზე (პროდუქტი, საწვავი, მედიკამენტები და სხვა). მაგალითისთვის, როგორ აისახება ევროპული არჩევანი სექტორის განვითარებაზე, რა მოცემულობა გვაქვს დღეს და განვითარების როგორ გეგმას მივყვებით?! ენერგოსისტემა, რომელიც საბჭოთა წარსულიდან გვერგო და მიბმული იყო საერთო-საბჭოურ სისტემაზე, დღეს საჭიროებს მოდერნიზებასა და დამოუკიდებლობას. ენერგეტიკული თანამშრომლობის ნუსხაში დაწვრილებით ჩამოთვლილია ევროპული სტანდარტები, როგორიცაა ენერგეტიკული სტრატეგია და პოლიტიკა, კონკურენტული და ეფექტური ენერგობაზრის განვითარება, რეგიონულ ენერგეტიკულ საკითხებზე თანამშრომლობა და საქართველოს შესაძლო ჩართვა ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების შეთანხმებაში, ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის ერთობლივი ინტერესების შესაბამისად განვითარება, ენერგიის წყაროების დივერსიფიკაცია და მრავალი სხვა.

— დღეს რა მდგომარეობა გვაქვს ენერგოსექტორში და რა მიმართულებას ირჩევს ქვეყანა ენერგოდამოუკიდებლობისა და ენერგოუსაფრთხოების მისაღწევად?

— ერთად აღებულ ყველა სახის ენერგიას თუ გავაანალიზებთ, ვნახავთ, რომ მოხმარებული ენერგიის 75 პროცენტი იმპორტირებულია, ნავთობპროდუქტებსა და ბუნებრივ აირს მთლიანად გარეწყაროდან ვიღებთ. საქართველოსთვის ყველაზე ენერგოტევადი რესურსია ჰიდრორესურსი, რის გამოც გაცილებით უკეთესი მდგომარეობა გვაქვს ელექტროენერგიის გამომუშავების მხრივ — მოხმარებული ელექტროენერგიის 78 პროცენტის გენერაცია ჰესების მიერ ხდება, დანარჩენი კი ივსება იმპორტირებულ ენერგომატარებლებზე მომუშავე თბოსადგურებითა და ელექტროენერგიის პირდაპირი იმპორტით, რომელიც უფრო და უფრო აღემატება წყალუხვობის პერიოდში ექსპორტზე გატანილი ელექტროენერგიის რაოდენობას. საქართველოს ელექტროსისტემა იმ ერთიანი სისტემის ნაწილია, რომელიც ცენტრალიზებულად იყო აწყობილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. სსრკ-ს დაშლის შემდეგ სისტემის გათიშვამ და მაშინდელი ხელისუფლების უნიათობამ საქართველო წლების მანძილზე სიბნელეში ამყოფა. უკანასკნელ წლებში მოხერხდა ელექტროენერგიის სტაბილური მიწოდება, რამაც, თავის მხრივ, ტარიფიც გაზარდა. მიუხედავად ამისა, მდგომარეობა ერთობ მყიფეა და ენერგოსისტემის დაცულობის უზრუნველსაყოფად და მოსალოდნელი რისკების გასანეიტრალებლად, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. გვახსოვს, 2006 წლის ზამთარში, რა მდგომარეობა შექმნა რუსეთთან დამაკავშირებელი გაზსადენისა და ენერგოგადამცემი ხაზების განყვეტამ. ინფრასტრუქტურული საკითხების გარდა, მოსახლეობისთვის ყველაზე აქტუალური საკითხია დასაქმება, რაც ეკონომიკის განვითარებასა და გაზრდას უკავშირდება. ქვეყნის მოქალაქეებმა მკაფიოდ უნდა იცოდნენ, რომ ეკონომიკის გაზრდა და დასაქმება გულისხმობს სამუშაო ადგილების შექმნას, ახალ საწარმოებს, რომელსაც ელექტროენერგია სჭირდება. ეკონომიკური ზრდის ტემპის უზრუნველყოფისთვის კი ენერგეტიკული პოტენციალის გაზრდაა საჭირო.

— როგორ შეგვიძლია პოტენციალის გაზრდა?

— ამისათვის ორი ძირითადი გზა არსებობს: ელექტროენერგიის იმპორტის გაზრდა ან ქვეყნის შიგნით გამომუშავების მატება. იმპორტი, თავისთავად, გამოიწვევს სხვა ქვეყანაზე ენერგეტიკული დამოკიდებულების გაზრდას, მისთვის ყოველწლიურად გაძვირებული ფასის გადახდას, რაც უახლოეს მომავალში ტარიფზე იმოქმედებს. ეს სხვა ქვეყანა კი დღეს არსებული იმპორტის ყველაზე იაფი ტარიფით რუსეთია. ქვეყნის შიგნით გენერაციის გაზრდა კი მოგვცემს ფასების კონტროლის, ტარიფის გრძელვადიანი პროგნოზირების საშუალებს, გააძლიერებს ენერგეტიკულ უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობას. ჩვენი ძირითადი რესურსი ჰიდრორესურსია, რომლის თეორიული ენერგეტიკული პოტენციალი 130 მილიარდი კილოვატ საათია, ათვისებული კი გვაქვს მისი 7 პროცენტი. ჩვენი მთავრობის ეკონომიკური კურსი, რაც სამთავრობო პროგრამასა და საარჩევნო დაპირებებს ეფუძნება, ქვეყნის ეკონომიკურ გაძლიერებას გულისხმობს და მოქალაქეების უმთავრესი მოთხოვნაც სწორედ ესაა. ჩვენ გვაქვს პასუხისმგებლობა, აღებულ ვალდებულებას კი შესრულება სჭირდება.

— ხშირად გსაყვედურობენ მწვანეების ჯგუფები წინა ხელისუფლების კურსის გაგრძელებასა და რესურსების მაქსიმალურ ათვისებაზე.

— ვისარგებლებ შემთხვევით და მოკლედ გიპასუხებთ ოპონენტთა ძირითად კითხვებზე. ხშირად ისმის საკითხი განახლებადი ენერგიის ალტერნატიული წყაროების ათვისების შესახებ — ენერგეტიკის სამინისტრო ამ მიმართულებით მუშაობს და კონკრეტული ნაბიჯებიც გადადგმულია, მაგრამ სპეციალისტებმა იციან, რომ დღეს, საქართველოში, ჰიდრორესურსის ჩანაცვლება მზისა და ქარის ენერგიით შეუძლებელია. ეს ახლადშექმნილი ილუზიაა, რომლითაც რაღაც ჯგუფები მანიპულირებენ საზოგადოებრივ აზრზე. საერთოდ, ენერგეტიკა იმდენად დახურული დარგია ჩვენს ქვეყანაში, რომ ძირითადი ინფორმაცია მითოლოგიის სფეროდანაა. ამ მიმართულებითაც ვმუშაობთ და მოსახლეობის ინფორმირება იქნება სისტემატური, მოცულობითი და, რაც მთავარია, სასარგებლო. მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რა არის მისთვის უსაფრთხო, სასარგებლო და ეკონომიური. ენერგოეფექტურობის თემაზე დაწყებულია კანონმდებლობის შემუშავება და, ევროპასთან დაახლოების პროცესში, ამ საკითხს ვერანაირად ვერ ავუვლით გვერდს, თუმცა იმის მტკიცება, რომ ენერგოეფექტურობის ზრდა მოაგვარებს იმ ენერგეტიკულ გამოწვევებს, რაც უკვე ვახსენეთ, ისეთივე აბსურდია, როგორც გადაჭარბებული მტკიცება გადამცემი ხაზებისა და ჰიდროელექტროსადგურების ტექნიკური დანაკარგის შესახებ. ეს ყველაფერი ნორმის ფარგლებშია და ევროპულ მაჩვენებლებსაც კი აკმაყოფილებს.

უკვე აღვნიშნე, რომ საქართველო თავისი ჰიდროპოტენციალის მხოლოდ 7 პროცენტს მოიხმარს. რესურსის მაქსიმალური ათვისება არ ნიშნავს 100-პროცენტიან მაჩვენებელზე გასვლას, რაც აბსურდი და უსაფუძვლო, პოპულისტური ბრალდებაა, ეს ნიშნავს ჩვენი უახლესი ენერგეტიკული და ეკონომიკური გამოწვევების შესაბამის განვითარებას, რაც მდგრადი განვითარების პრინციპებს ეფუძნება და არა ჭარბი განვითარებისა.

ხუდონჰესი საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანი მიმდინარე პროექტია, რომელმაც დიდი როლი უნდა შეასრულოს ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის გაზრდის საქმეში და ძირითადი კომპონენტია, საქართველოს ყველაზე დიდი ენერგობიექტის, ენგურჰესის გაძლიერებისა და ეფექტურობის გაზრდისათვის. მოხსნილია ნებისმიერი სერიოზული კითხვა ეკონომიკური, ენერგეტიკული, საინჟინრო, ჰიდროლოგიური თუ გარემოს დაცვითი კუთხით. ერთადერთი მნიშვნელოვანი საკითხი სოციალური მდგომარეობაა, რაც გულისხმობს ადგილობრივი მოსახლეობის განსახლებას. ეს არის ძალიან მტკივნეული და მგრძნობიარე საკითხი, რომლის მოგვარებაც საჭიროა არა მხოლოდ ყველაზე ზუსტი საერთაშორისო სტანდარტების დაცვით, არამედ ადგილობრივ მაცხოვრებლებთან მჭიდრო კომუნიკაციით. ის მორალური მდგომარეობა, მწირი ან არასწორი ინფორმაცია, რაც დღეს ადგილობრივებშია, ზუსტად ამ კომუნიკაციის არარსებობამ, სოციალური კონკრეტული წინადადებების არშეთავაზებამ გამოიწვია. ეს არის წინა ხელისუფლებების დანაშაული ამ ხალხის წინაშე და დღეს ხაიშელები, ახალი ხელისუფლება, ქვეყნის მოსახლეობა ამ დანაშაულებრივი გულგრილობის შედეგს ვიმკით.

ვახტანგ მაისაია: „მოვა დრო, საზოგადოება ყველა აგენტის შესახებ სიმართლეს შეიტყობს!“

მიიღებს თუ არა პარლამენტი ლუსტრაციის კანონს და რა სადამსჯელო ღონისძიებები გატარდება აგენტების წინააღმდეგ

ბრუსულან შელია
557-100-768

როგორ აპირებს სამოქალაქო სექტორიდან უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების გაკონტროლებას, როდის მიიღებს პარლამენტი ლუსტრაციის კანონს და რა სადამსჯელო ღონისძიება გატარდება გამოვლენილი აგენტების წინააღმდეგ — „ვერსიის“ კითხვებს პოლიტპატიმარი, სამხედრო ექსპერტი ვახტანგ მაისაია პასუხობს.

— „ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში, შეიარაღებულ ძალებში, საზოგადოებრივი კონტროლი მეტნაკლებად აღდგა, თუმცა საქართველოში უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მონიტორინგის კუთხით, სამოქალაქო სექტორის ჩართულობა ნულის ტოლია. სწორედ ამ მიზნით, ამ მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებში, სპეცსამსახურების საზოგადოებრივი კონტროლის კვლევის ცენტრის შექმნის ინიციატივა გაჩნდა. ეს საკმაოდ სპეციფიკური, საქართველოსთვის მძიმე საკითხია და ამ მიმართულებით საზოგადოება მეტად უნდა გააქტიურდეს. წინა ხელისუფლების პირობებში, აგენტურის პრევენციის მექანიზმი არ არსებობდა, არადა ფაქტია, ეს ადამიანები სახელმწიფო ბიუჯეტიდან სწორედ ჩვენი სახსრებით ფინანსდებიან.

— ცალკეული შემთხვევების გარდა, სპეცსამსახურების შესახებ ინფორმაცია საქართველოში, ძირითადად, გასაიდუმლოებული იყო. რა მექანიზმი გაქვთ აგენტების გამოსავლენად?

— საიდუმლო მასალებზე აპელირება უსუსური არგუმენტია. თუ ევროკავშირისკენ რეალურად მივისწრაფვით, დასავლეთში აპრობირებული რეფორმები საქართველოშიც უნდა გატარდეს; თუ ამ მიმართულებით მუშაობაზე უარს ვიტყვით, ევროპასთან ინტეგრაციის საკითხიც საეჭვო გახდება. მსგავსი პროცესების პრაქტიკა მსოფლიოში მრავლად არსებობს, მაგალითად, პოლონეთის განვითარების წინაპირობა სწორედ აგენტურული ქსელის გამოვლენა გახდა, საზოგადოებრივი მონიტორინგის ოპტიმალური ვარიანტი შეირჩა ბალტიისპირეთშიც და ამ პრაქტიკის გაზიარება შეგვიძლია.

— სახელმწიფო მზადაა, სპეცსამსახურების საზოგადოებრივი კონტროლის კვლევის ცენტრთან ითანამშრომლოს?

— ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია... თუ ხელისუფლება ჩვენთან თანამშრომლობისთვის მზად დღეს არ არის, ხვალ მოუწევს.

— საკანონმდებლო ცვლილებების მიმართულებით რა გეგმები გაქვთ, ლუსტრაციის კანონის შემუშავებას აპირებთ?

— დიახ, საკანონმდებლო დონეზეც უნდა გასწორდეს ხარვეზები, ლუსტრაციის კანონიც მისაღებია, რადგან წინაღმდეგ შემთხვევაში, საქართველოში მოღვაწე უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების ლუსტრირება ვერ მოხერხდება.

— წინა ხელისუფლების პირობებში გია თორთლაძეც ცდილობდა ლუსტრაციის კანონის პარლამენტში გატანას, თუმცა ითქვა, რომ შესაბამისი არქივი არ არსებობს და ინიციატივაც პრაქტიკაში ეფექტურად ვერ იმუშავებდა.

— ეს კომიკური ვითარება იყო. მათგან განსხვავებით, ჩვენ რეალურად ვმოქმედებთ და შედეგზე ორიენტირებულები ვართ. ცენტრის შექმნაში შვეიცარიაში მოქმედი ორგანიზაციებიც გვეხმარებიან, მათ შორის, ჟენევის ცენტრი, რომელიც დღეს საქართველოს პარლამენტსა და თავდაცვის სამინისტროსთან წარმატებით თანამშრომლობს. თავის დროზე, ჟენევის ცენტრმა ნაციონალებთან ურთიერთობა გაწყვიტა, რადგან მათ დემოკრატიის ყველა პუნქტი დაარღვიეს — იმ შეთანხმებების იგნორირება მოახდინეს, რომელთა შესრულება დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებისთვის აუცილებელია.

— მოლოდინი როგორია, საჯარო სტრუქტურებში უცხო ქვეყნის აგენტები მრავლად არიან?

— რა თქმა უნდა! საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებში უცხოური სპეცსამსახურების თანამშრომლები მრავლად არიან... ბიძინა ივანიშვილის არ იყოს, როცა ლუსტრაციის პროცესი დაიწყება, აგენტურის რაოდენობით ევროპას ნამდვილად გავაოცებთ. სამწუხაროდ, ამ საკითხზე, ჯერჯერობით, კონკრეტულად ვერ ვისაუბრებ. უდანაშაულობის პრეზუმპციას დავიცავ, თუმცა მოვა დრო, საზოგადოება ყველა ჩინოვნიკისა თუ სახელმწიფო სტრუქტურის რიგითი თანამშრომლის აგენტურული კავშირების შესახებ სიმართლეს შეიტყობს და ეს მარტივი პროცესი არ იქნება — ამერიკის ფედერალურ ბიუროში საბჭოთა კავშირის აგენტის გამოვლენას ათწლიანი მუშაობა დასჭირდა.

— აგენტის გამოვლენის შემდეგ რა სადამსჯელო ღონისძიება გატარდება, ეს პუნქტიც უკვე შემუშავებული გაქვთ?

— გამოვლენილი აგენტების სამართლებრივი დასჯა ჩვენი პრეროგატივა არ იქნება, მხოლოდ მონიტორინგს განვახორციელებთ, მოპოვებულ ინფორმაციას საზოგადოებას ჟურნალისტური გამოძიების ფორმატში გავაცნობთ, ხოლო თუ აღნიშნული ფაქტებით პროკურატურაც დაინტერესდება, მათაც შესაბამის დოკუმენტაციას მივაწვდით. ამის შემდეგ სასამართლო გადაწყვეტს, ვის რა პასუხისმგებლობა დააკისროს.

დავით თარხან-მოურავი ირაკლი მელაშვილსა და ზაზა მეფარიშვილს ამხელს

როგორ აშანტაჟებენ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ქუთაისის საკრებულოს დეპუტატებს

ბრუსულან შელია
557-100-768

„პრემიერის მრჩეველი რეგიონულ საკითხებში ირაკლი მელაშვილი და იმერეთის რეგიონის უშიშროების სამსახურის უფროსი ზაზა მეფარიშვილი ქუთაისის საკრებულოში საქართველოს პატრიოტთა ალიანსის უმრავლესობის არსებობის ფაქტს ვერ ეგუებიან და მუდმივად ამ ფრაქციის დაშლას ცდილობენ“, — ავრცელებს ინფორმაციას „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი დავით თარხან-მოურავი. მისი თქმით, იმერეთის რეგიონული უშიშროების სამსახურის შენობაში პატრიოტთა ალიანსის დეპუტატების დაშინებისა და მათი გადაბირების კამპანია დიდი ხანია მიმდინარეობს, არადა ქუთაისის საკრებულოს უმრავლესობა, ჩამოყალიბების დღიდან, კოალიციის პარტნიორ ფრაქციას წარმოადგენდა: **„მიმდინარე წლის აპრილში ნაციონალური მოძრაობა საზოგადოებას მასშტაბური მიტინგების მოწყობით ემუქრებოდა, 19 აპრილს თბილისში აქცია ბუნდოვანი მოთხოვნებით იგეგმებოდა, ყველა ქალაქსა თუ რაიონში, სადაც ნაციონალებს ძალაუფლება ჰქონდათ, სრული მობილიზაცია გამოცხადდა, ამ დროს კი ქუთაისის მერი ჯანდაცვის, განათლებისა, თუ სოციალური სფეროს მუშაკებს კაბინეტში იბარებდა და აქციაში მონაწილეობას ავალებდა. მაშინ ჩვენმა პარტიამ საკრებულოს წევრებთან მოლაპარაკება დაიწყო. საბოლოოდ, 12-კაციანი ფრაქცია ჩამოვაყალიბეთ, რომელმაც ქუთაისის საკრებულოში უმრავლესობა შექმნა და ნაციონალი მერი თანამდებობიდან გაათავისუფლა. იმ წუთიდან დღემდე, ქუთაისში აქტიურად ვთანამშრომლობთ „ქართულ ოცნებასთან“. თანამშრომლობის ფარგლებში ქუთაისის მერად დაინიშნა კოალიციის კანდიდატი დიმიტრი კოპალიანი, მერის მოვალეობას სხვადასხვა დროს ასრულებდნენ ასევე „ოცნების“ კანდიდატები — თენგიზ თოფურიძე და კონსტანტინე ლომიძე, ამჯერადაც მერი კოალიციის კანდიდატი შოთა მურღულიაა და ამ ფონზე, ჩვენი სურვილის მიუხედავად, თანამშრომლობას ნაყოფიერს ვერ ვუწოდებთ. ბოლო თვეებში, პრემიერის მრჩეველი რეგიონულ საკითხებში ირაკლი მელაშვილი და იმერეთის რეგიონის უშიშროების სამსახურის უფროსი ზაზა მეფარიშვილი ქუთაისის საკრებულოში საქართველოს პატრიოტთა ალიანსის უმრავლესობის არსებობის ფაქტს ვერ ეგუებოდნენ და ფრაქციის დაშლას მუდმივად ცდილობდნენ. ბატონი მელაშვილი აცხადებს, თითქოს ქუთაისში ებრძვის კლანურ პოლიტიკასა და ბიზნესს, ელიტურ კორუფციას, არადა ეს სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი შრომის მითვისების მცდელობა. ქუთაისში საკადრო ცვლილებები სწორედ ჩვენი შრომის შედეგია, ხოლო ის ფაქტი, რომ მერის კანდიდატურებმა თავი ვერ გამოიჩინეს, მელაშვილისა და „ოცნების“ პასუხისმგებლობაა. მწვავედ არ ვრეაგირებდით „ქართული ოცნების“ მხრიდან ჩვენი ფრაქციის დეპუტატების გადაბირების მცდელობაზე, თუმცა, ბუნებრივია, გასაკვირია, რომ ეს პროცესი კოალიციასთან თანამშრომლობისა და პარტნიორობის პირობებში ხდებოდა. ბოლოს, ჩვენი ფრაქციის წევრების მხოლოდ გადაბირების კი არა, „მეგობრული“ დაშინების ანუ შანტაჟის კამპანიაც დაიწყო — იმერეთის რეგიონული უშიშროების სამსახურის უფროსის მოადგილეები ჩვენი ფრაქციის წევრებს უშიშროების შენობაში იბარებდნენ და ფრაქციის დატოვებას სთხოვდნენ. ამით კონკრეტული ადამიანები ცდილობენ, ქუთაისის საკრებულოში „ქართული ოცნების“ მიერ კონტროლირებადი უმრავლესობა შეიქმნას. უშიშროების სამხარეო სამსახური დეპუტატებს „მეგობრულად“ ატერორებდა — მათ უახლოეს ნათესავებს ფინანსურ პოლიციასა თუ სხვა ძალოვან უწყებებში იბარებდნენ“.**

დავით თარხან-მოურავის განცხადებით, სწორედ „მეგობრული“ დაშინებისა და შანტაჟის შედეგად, 2013 წლის 2 დეკემბერს 4 წევრს ფრაქციის დატოვების შესახებ განცხადება იძულებით დააწერინეს: **„ზაზა მეფარიშვილი ფრაქციის წევრებთან საუბრისას ამბობს, რომ ირაკლი მელაშვილის მითითებებით მოქმედებს, კოტე ლომიძეც საკუთარ მოქმედებებს მუდმივად მელაშვილის დავალებებითა და მითითებებით ამართლებდა. სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ჩვენი 10-წლიანი ბრძოლა ნაციონალური მოძრაობის ჩინოვნიკების ანალოგიური ქმედებებით იყო გამოწვეული. ქართულმა საზოგადოებამ სააკაშვილის რეჟიმი იმიტომ არ დაამარცხა, რომ დღეს მეფარიშვილ-მელაშვილის სახით, ტერორის ახალი ინსტიტუტი ჩამოყალიბებულიყო. დაუშვებელია, თვითმმართველობა მელაშვილებისა თუ მეფარიშვილების, ასევე მათი მოადგილეების კერძო მმართველობად გადაიქცეს“.**

პატრიოტთა ალიანსის ლიდერის განმარტებით, ვრცელდება ინფორმაცია, რომ მეფარიშვილი-მელაშვილის ტერორის უკან პრემიერ-მინისტრი დგას, თუმცა თარხან-მოურავი დარწმუნებულია, რომ ირაკლი ღარიბაშვილს ამ ფაქტებთან კავშირი არ აქვს. პატრიოტთა ალიანსის ლიდერი ირაკლი მელაშვილისა და ზაზა მეფარიშვილის თანამდებობებიდან დაუყოვნებლივ გადაყენებას ითხოვს: **„იმედია, დემოკრატიულ საზოგადოებაში საკრებულოს დეპუტატების „კეთილმოსურნე“ დაშინება და შანტაჟი საკმარისზე მეტი მიზეზია, რათა მეფარიშვილსა და მის მოადგილეებს, ასევე მელაშვილს, თანამდებობა დაუყოვნებლივ დაატოვებინონ. ასევე მოვითხოვთ, კონკრეტულ პირებზე ზეწოლის ფაქტები გამოიძიონ. იმედია, საკითხი ქვეყნის შიდაპოლიტიკის ფარგლებს არ გასცდება და ვაშინგტონში, ბრიუსელსა თუ სტრასბურგში განხილვის საგანი არ გახდება. ჩანს, კოალიციის წევრი კონკრეტული პირები ნაციონალების გზას ადგანან. სააკაშვილის ჩინოვნიკებმაც ასე დაიწყეს — ჯერ ბიზნესმენებსა და დეპუტატებს იბარებდნენ, შემდეგ კი ადამიანების მასობრივ დაპატიმრებასა და ციხეებში პატიმრების გაუპატიურებასაც არ ერიდებოდნენ“.**

მარგელონის სინდრომი – XXI საუკუნის კოშმარი

ადამიანის ყველაზე სასტიკ და ყველაზე ახალ დაავადებას გენმოდიფიცირებული ორგანიზმები იწვევს?!

„საუკუნის წყევლად“ მონათლული ავადმყოფობის დაუჯერებელი სიმპტომები და გავრცელების არეალი

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

დაავადება მარგელონი მეცნიერებმა უკვე მონათლეს XXI საუკუნის წყევლად და კოშმარად. შეფასება გაზვიადებული ნამდვილად არაა, რადგან ეს ავადმყოფობა, უკვე მართლაც იქცა პლანეტის ათასობით ადამიანის რეალურ კოშმარად — დაავადებულების აღწერით, მისი მიმდინარეობა და სიმპტომები ლამის ფანტასტიკის სფეროს სცდება, ის კი, რაც მათ ემართებათ, მხოლოდ საშინელებათა ფილმებში შეიძლება ნახოთ. მარგელონის შესახებ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ექიმებმაც კი ბევრი არაფერი იციან, გაჭირდა კვალიფიკაციაც, რადგან მეცნიერებმა ვერ დაადგინეს, რეალურად, რასთან გვაქვს საქმე — ვერ არკვევდნენ, დაავადება დერმატოლოგიურია, ალერგიული, ინფექციური თუ ფსიქიატრიული; ასევე გართულდა გამომწვევი მიზეზების განსაზღვრა... რამდენიმე სავარაუდო ვერსიიდან, ბოლო კვლევებით, მეცნიერებმა ერთი დაადასტურეს — ადამიანის „ყველაზე სასტიკ“ და „ყველაზე ახალ“ დაავადებას გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები იწვევს!

მარგენოლის სიმპტომები და გავრცელების არეალი

2002 წელს ამერიკელმა დიასახლისმა, მერი ლეიტაომ თავის 2 წლის ბიჭს ტუჩქვეშ პატარა წყლული შეამჩნია. ბავშვი კანის დაზიანებულ ადგილს იქავებდა და დედამ მისი დამუშავებისას, იარიდან ძაფისმაგვარი სხეული ამოიღო. მეორე დილას, ბავშვს ხელი აქავდა და ახალი წყლული გაუჩნდა, საიდანაც კვლავ ამოაძვრინეს ძაფისმაგვარი უცხო სხეული... პატარა დრიუ კი ამტკიცებდა, რომ კანქვეშ მწერები ჰყავდა, რომლებიც გარეთ გამოსვლას ცდილობდნენ. ბავშვის მშობლები დაიზაფრნენ, პროფესიით ექიმი მამა პანიკაში ჩავარდა — მიხვდა, რომ ეს არც ალერგია იყო, არც ეგზემა და ბიჭუნას ახალი, ამოუცნობი და სერიოზული ავადმყოფობა სჭირდა. რამდენიმე ათეულ ექიმთან ვიზიტის, სრული გამოკვლევის შემდეგაც კი მედიკოსებმა დიაგნოზი ვერ დასვეს, ბიჭის სხეულზე კი წყლულებისა და იქიდან ამოღებული „ძაფების“ რაოდენობა დღითიდღე იმატებდა. პატარა დრიუს მშობლები პირველები იყვნენ, ვინც ამ უცნაური და სასტიკი დაავადების კვლევის ცენტრი ჩამოაყალიბა და მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ დადასტურდა, რომ დრიუ მარგელონით იყო დაავადებული.

წლების განმავლობაში მარგელონის შესახებ ბევრი არაფერი იყო ცნობილი. სამედიცინო ლიტერატურაში სხვადასხვა ავტორები მას პარაზიტულ, ინფექციურ, ტოქსიკურ ან ნევროლოგიურ დაავადებად მოიხსენიებენ; არიან ისეთებიც, ვინც მიიჩნევს, რომ მარგელონი დიდი ხნის წინ ცნობილი დაავადებების, ალერგიული ან კონტაქტური დერმატიტის, ასევე მუნის სახეცვლილი ვარიაციაა... რადგან ზუსტად ვერ მოხერხდა იმის დადგენა, რა დაავადებასთან გვაქვს საქმე, სხვადასხვა ექიმი მარგელონით დაავადებულებს სხვადასხვა მეთოდით კურნავდა...

სიმპტომები კი ასეთია: ინფიცირდება ადამიანის მთელი ორგანიზმი, მაგრამ გარეგნულად მხოლოდ წყლულის გაჩენის შემდეგ ვლინდება. იარას ახლავს წვა, ქავილის აუტანელი შეგრძნება; ჭრილობები რთულად ხორცდება და მათ ადგილას ნაიარევი რჩება, შემდეგ კი ახალი წყლული იჩენს თავს ახალ ადგილას. წყლულებიდან ძაფების, ბუსუსების, თმის ღერის... მსგავსი უცხო სხეულები „ამოდის“, ზოგჯერ მათი შეფერილობა განსხვავებულია — ორგანიზმიდან გამოსული ლურჯი, თეთრი ან შავი ბოჭკოვანი პარაზიტების სიგრძე 1,5-2 სმ-ია; ავადმყოფებს აქვთ შეგრძნება, რომ კანქვეშ მატლები, ხოჭოები ან სხვა სახეობის მწერები ფუთფუთებენ და იკბინებიან; კანი სკდება და ნახეთქები წარმოიქმნება, ადამიანი გრძნობს დაღლილობას, აქვს ჩავარდნა მეხსიერებაში, ქვეითდება მხედველობა... მაგრამ ეს სიპტომების არასრული ჩამონათვალია — ქრონიკული დაღლილობა, გონებრივი

პრობლემები, ადამიანებთან ურთიერთობის სურვილის დაკარგვა და თვითმკვლელობაზე ფიქრი, კრუნჩხვები, საშინელი ტკივილი კუნთებსა და სისხლძარღვებში, სისუსტე, თმისა და ფრჩხილების ცვენა...

პაციენტების ჩანაწერებში ასეთ ფრაზებს წააწყდებით — **„ეს შეგრძნება აუტანელია. თითქოს კანქვეშ მწერები ფუთფუთებენ და შიგნიდან მჭამენ. მკბენენ, როგორც ძაღლები, თითქოს კანს აწვებიან, რომ გარეთ გამოაღწიონ. ამის ატანა აღარ შემიძლია, ცოცხლად დავიწვავ თავს, ოღონდ ეს აღარ განვიცადო“; „გავახურე რკინა და დავიდე იარაზე. მატლები კანქვეშ დროებით მიყუჩდნენ, მაგრამ რამდენიმე წუთში ისევ აფუთფუთდნენ“; „დავინახე, კანი როგორ გაიხსნა და იქიდან მწერი გამოფრინდა“; „თითქოს ფეხსახსრიანები ცდილობენ, კანიდან გამოაღწიონ. მათი საცეცები ყოველ საათში ერთხელ გამომაქვს კანიდან. საცეცები ძაფებს მაგონებს... ცხელ უთოს ვიდებ პერიოდულად, რომ დროებით მაინც დამანებონ თავი ჩემში ჩაბუდებულმა მწერებმა“...**

რა გასაკვირია, რომ ამ ჩივილებისა და შეგრძნებების აღწერის შემდეგ, დაავადებულებს უმტკიცებდნენ, ჰალუცინაცია გაქვთო. ბევრს დერმატოლოგიური ბოდვის დიაგნოზიც დაუსვეს და უმრავლესობას, ფსიქოტროპული წამლებითა თუ ანტიბიოტიკებით მკურნალობდნენ, მაგრამ უშედეგოდ. ექიმების ნაწილმა იმის მტკიცებაც კი დაიწყო, თითქოს ბოჭკოვანი ქსოვილები, სინამდვილეში, ტანსაცმლის ძაფები და ბუსუსები იყო, რომლებიც კანის უჯრედებიდან ადამიანის ორგანიზმში ხვდებოდა. მედიცინა იმდენხანს ხუჭავდა თვალს ამ დაავადებაზე და იმდენხანს არ ფინანსდებოდა კვლევა, რომ კულუარებში გავრცელდა ვერსია — ეს განგებ ხდება, რათა იყოს დიდი მსხვერპლი და ადამიანის პოპულაციამ, სავარაუდოდ, 2050 წლისთვის არ მიაღწიოს ისეთ მაჩვენებელს, რომლის გამოკვებაც დედამიწას გაუჭირდებაო... თუმცა, ცხადია, ვერავინ შეძლო დადგენა, რომ მარგელონის გავრცელებას მეცნიერები „კაცობრიობის შიმშილისგან“ თავიდან აცილების მიზნით უწყობდნენ ხელს.

დაავადების კვლევა და გავრცელების არეალი

მარგელონი პირველად, როგორც მოგახსენეთ, ამერიკაში დადასტურდა, დღეს დაავადება აშშ-ს თითქმის ყველა შტატში გვხვდება, მაგრამ დაავადებულთა რაოდენობა ყველაზე მეტია ტეხასში, კალიფორნიასა და ფლორიდაში. მარგელონი დარეგისტრირებულია ასევე დიდ ბრიტანეთში, ავსტრალიასა და ნიდერლანდებში, რამდენიმე წლის წინ კი, დაავადების შემთხვევები უკრაინასა და რუსეთში დაფიქსირდა. მარგელონი საკმაოდ სწრაფად ვრცელდება — არაოფიციალური მონაცემებით, დღეში დაახლოებით, 1000 ადამიანი ავადდება.

პირველი მეცნიერი, რომელმაც ამ დაავადების სერიოზული კვლევა დაიწყო პროფესორი რენდი ვაიმორი გახლდათ, რომელმაც პირველივე ნაშრომებში უარყო ჰალუცინაციების სიმპტომი: **„ეს არაა ბოდვა. ავადმყოფებს არ აქვთ ჰალუცინაციები... ეს არც მატლებია, არც მწერები, არც ადამიანის კანის ან თმის უჯრედები, არც ძაფები ან ბუსუსები ტანსაცმლიდან... ეს პარაზიტები ჩნდება და მრავლდება ადამიანის ორგანიზმში“,** — დასკვნა ვაიმორმა მას შემდეგ გააკეთა, რაც დაავადებულთა ორგანიზმიდან ამოღებული 90 ათასზე მეტი უცხო სხეული გამოიკვლია. შესაბამისი ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, ყველა სხეული ერთნაირი შემადგენლობისაა, მათი დნმ იდენტურია, მაგრამ არ ჰგავს არც ერთ ორგანიზმს, რომელსაც მეცნიერება აქამდე იცნობდა.

2008 წელს აშშ-ს ხელისუფლებამ მარგელონის კვლევის მიზნით, სოლიდური გრანტი გამოყო. კვლევის პროცესში გაჩნდა ვერსია, თითქოს დაავადების პროვოცირებას სამხედრო და „ქიმიოთვითმფრინავები“ ახდენდა, რომლებიც ცაზე გაურკვეველ ქიმიურ კვალს ტოვებს. სხვადასხვა ქვეყნების ხელისუფლებები არ ასაჯაროებდნენ, რა ნივთიერება იფრქვეოდა თვითმფრინავებიდან და ივარაუდეს, რომ ცაზე დატოვებული ქიმიური კვალი ადამიანებს თავზე ეფრქვეოდათ და უცნაურ დაავადებებს იწვევდა. მალე ეს ვერსიაც მიეცა დავიწყებას, რადგან, ბოლო წლებში, სხვადასხვა ქვეყანაში მოღვაწე რამდენიმე მეცნიერი დამოუკიდებლად მივიდა დასკვნამდე, რომ მარგელონის წარმოქმნის მიზეზი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებია.

რა კავშირი აქვს გმო-ს მარგელონთან

არის თუ არა მარგელონის გავრცელებაში „დამნაშავე“ გენური ინჟინერიით მიღებული პროდუქცია? არის თუ არა „საუკუნის კოშმარი“ გენური ინჟინერიისა და ადამიანის დნმ-ზე უხეში ჩარევის შედეგი? თავდაპირველად, ეს კითხვები სპეციალისტებს ლოგიკური მსჯელობის შედეგად გაუჩნდათ — მეცნიერები გმ პროდუქტის მისაღებად მცენარეებში სხვადასხვა ცხოველის გენს იყენებენ — მედუზის, ობობის... ამ ფონზე, შესაძლებელია, ადამიანის ორგანიზმში ობობის ქსელისა თუ მედუზის საცეცისმაგვარი უცხო სხეული სწორედ ამ ნანოტექნოლოგიით — გენური ინჟინერიით მიღებული პროდუქტის შემდეგ ჩნდება. მეცნიერი მაე-ვან ჰო ჯერ კიდევ 1998 წელს ამტკიცებდა, რომ გენური ინჟინერიაა იმ ინფექციური დაავადებების მიზეზი, რომლებიც 1970-იანი წლებში მძვინვარებდა, 90-იანი წლებიდან დაავადებების რიცხვი „ელვისსისწრაფით“ გაიზარდა — ეს სწორედ ის პერიოდია, როცა გახშირდა გმო-ს წარმოება და მსოფლიო ბაზარზეც გმ პროდუქტი მასობრივად გვხვდებოდა, დღეს კი, ყველაზე მეტი დაავადებული სწორედ იმ ქვეყნებშია, სადაც სადაც გმ კულტურებს აწარმოებენ და ფართოდ იყენებენ: კანადა, დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია, ნიდერლანდები.

დოქტორი რაფაელ სტრიკერი სან-ფრანცისკოდან მივიდა დასკვნამდე, რომ მარგელონის წარმოქმნაში „დამნაშავეა“ მცენარეების ანუ აგრობაქტერია, რომელიც შესაძლოა ადამიანის სხეულში ტკიპებმაც კი შეიტანონ. პარალელურად, სხვა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ დაავადებას მუტაციის დროს წარმოქმნილი „სოკოები“ იწვევს — სოკო ხვდება ორგანიზმში, იწყებს გამრავლებას, წარმოშობს ბეწვისმაგვარ ქსოვილებს, რომელიც ზრდის პროცესში აწვება კანს და ცდილობს გარეთ გამოღწევას, ეს წარმონაქმნები კი შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც ტრანსგენურ ტექნოლოგიებს უკავშირდება.

საბოლოოდ გაირკვა, რომ

აგრობაქტერია არა მხოლოდ აავადებს ადამიანისა და ცხოველის უჯრედებს, არამედ იწვევს გენების მიგრაციას. მარგელონის წარმომშობი პლაზმიდები, რომლებიც შეიცავს სხვადასხვა მცენარისა და ცხოველის ტრანსგენებს, სიმსივნის ჩამომყალიბებელი ნიადაგის ბაქტერიებია, რომლებსაც ბიოტექნოლოგები ორგანიზმში უცხო გენის ჩანერგვის დროს იყენებენ, — ეს დასკვნა ნიუ-იორკის უნივერსიტეტის, ბიოქიმიისა და უჯრედული ბიოლოგიის პროფესორმა ვიტალი ციტოვსკიმ დადო. მისი მტკიცებით, „ბუსუსები“ შეიცავს აგრობაქტერიების სუბსტანციას, რომლებსაც შეუძლია არა მარტო მცენარეში, არამედ ადამიანის ორგანიზმშიც მოახდინოს გენების ტრანსფორმირება. ჩატარდა ექსპერიმენტიც — აღნიშნული ბაქტერიების ცხოველების ორგანიზმში შეყვანის შემდეგ, ისინი მარგელონით დაავადდნენ და დადგინდა, რომ აგრობაქტერიებს მარგელონის დაავადების გამოწვევა შეუძლიათ. ეს აღმოჩენა პროფესორმა ციტოვსკიმ გააკეთა.

მედიცინის დოქტორი რიმა ლეიბოუც ამტკიცებს, რომ მარგელონს გენმიდიფიცირებული ორგანიზმები იწვევს. მან დაავადებულთა ორგანიზმებიდან ამოღებული „ძაფების“ გამოკვლევისას დაადგინა, რომ ეს ორგანიზმები შეიცავს სოკოებისა და იმ ბაქტერიების დნმ-ს, რომლებიც ფართოდ გამოიყენება გმო-ს მიღებისას. ისინი შედგებიან ცელულოზასგან, რომელსაც ადამიანის ორგანიზმი ვერც ამუშავებს და ვერც ანადგურებს.

ლეიბოუ ამობს: **„ეს ფრანკენშტეინის მიერ უსულო ორგანიზმის გაცოცხლებას მაგონებს. ეს ბაქტერიები ტრიალებენ, იზრდებიან, მრავლდებიან, იყოფიან... საბოლოოდ კი, კანის ქვეშ, პარაზიტულ მეტასტაზებს ქმნიან, რომლებმაც გენეტიკური მოდიფიკაციის ძალით, შეიძინეს ცოცხალი ორგანიზმის ნიშან-თვისებები“.** ცხოველებში მარგელონის „ხელოვნურად გამოწვევის“ შემდეგ, ორგანიზმიდან ამოღებული „ბუსუსებიც“ გამოიკვლიეს და ისინიც დაავადებული ადამიანების ორგანიზმიდან ამოღებული „ბუსუსების“ იდენტურია — ყველა შედგება ცელულოზასგან, აქვს სპირალისებური ბრუნვის ტენდენცია (გენეტიკურად ჩადებული თვისება) და შეიცავს გმ ბაქტერიების დნმ-ს.

თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობა გაგრძელდება

გადაწყვეტილება პრემიერ-მინისტრთან არსებულმა ეკონომიკურმა საბჭომ მიიღო.

მიღწეულია მოლაპარაკება მშენებელ კომპანიასთან ხელშეკრულების გაგრძელების შემდგომ პირობებსა და ვადებზე. აღნიშნული პროექტის განხორციელება სპონტანურად, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების გარეშე დაიწყო.

ს/ს „საქართველოს რკინიგზამ“ საკონსულტაციო კომპანიის MC Mobility მეშვეობით, პროექტის ამ ფორმით განხორციელების შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგები შეისწავლა. დადგინდა, რომ როგორც საოპერაციო, ასევე მონაკვეთის მოვლა-შენახვის მაჩვენებლები უარესდება, გამტარუნარიანობა (სატრანზიტო სიმძლავრე) მცირდება. ამასთან, პროექტის ასეთი ფორმით განხორციელება მაღალბიუჯეტიანი თანმდევი პროექტების განხორციელების აუცილებლობას იწვევს, რაც არსებული პროექტის ბიუჯეტში გათვალისწინებული არ არის. კონტრაქტორის (ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიურო) მიერ ვერ იქნა დაცული მშენებლობის შესრულების ვადები, შედეგად სამუშაოების დამთავრების თარიღისთვის (2013 წლის 8 ივნისი) კონტრაქტორს 18-თვიანი ჩამორჩენა ჰქონდა.

აქედან გამომდინარე, ეკონომიკურმა საბჭომ მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს შემოვლითი რკინიგზის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესება და მოსალოდნელი ნეგატიური შედეგების მინიმალიზება, რისთვისაც უნდა ჩატარდეს დამატებითი საპროექტო საინჟინრო კვლევები. მთავრობის უახლოეს სხდომაზე იმსჯელებენ ხელშეკრულების ვადის 3 წლით გაგრძელების შესახებ. საბჭოს სხდომაზე რკინიგზის მოდერნიზაციის პროექტზეც იმსჯელეს.

საუბარია სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ განსახორციელებელ თბილისი-მახინჯაურის მთავარი სარკინიგზო მაგისტრალის მოდერნიზაციის პროექტზე, რომლის სამშენებლო სამუშაოებს შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფი“ აწარმოებს. საპროექტო გადაწყვეტილებით, ქვიშხეთი-ზვარეს დამაკავშირებელი სარკინიგზო გვირაბი (8350მ.) ერთლიანდაგიან სარკინიგზო ხაზს წარმოადგენს მაშინ, როდესაც არსებული რკინიგზა ამ მონაკვეთზე ორლიანდაგიანია. ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ამ მონაკვეთზე ერთლიანდაგიანი სარკინიგზო ხაზის შექმნით სატვირთო გამზიდუნარიანობა არათუ იზრდება, მნიშვნელოვნად იზღუდება. მშენებლობის ზედამხედველმა (ILF Consulting Engineers) წარმოადგინა წინადადება პროექტის გაუმჯობესების თაობაზე, რომლის მიხედვით შესაძლებელია არსებულ პროექტში ძირეული ცვლილების განხორციელებით, კერძოდ ქვიშხეთი-ზვარეს მონაკვეთზე მეორე გვირაბის მშენებლობით სატვირთო გამზიდუნარიანობის 100 მილიონ ტონამდე გაზრდა, ამასთან მშენებლობისთვის გასაწევი ხარჯის 1.6 მლნ. CHF-ით დაზოგვა. ზემოხსენებული ცვლილებით სატრანზიტო დერეფნის მდგრადობა ამაღლდება, სარკინიგზო ხაზის უსაფრთხოება — 120%-ით ტვირთის გამზიდუნარიანობა გაიზრდება.

შსს-მ ოკუპაციის ხაზის მიმდებარე სოფლებში არსებული ვითარება დიპლომატიურ კორპუსს გააცნო

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის წარმომადგენლებმა საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ოკუპაციის ხაზის მიმდებარე სოფლებში არსებული მდგომარეობა გააცნეს. შეხვედრაზე შსს-ს მხრიდან წარდგენილი პრეზენტაცია ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებსა და ზოგადად, საოკუპაციო ძალების მიერ მავთულხლართების, ღობეების, მიწათხრილების და ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერების მონტაჟის შედეგად შექმნილ მდგომარეობას შეეხო.

მსგავსი ტიპის შეხვედრები შს სამინისტროში პერიოდულად იმართება და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების მიმართულებით განვითარებული მოვლენების შესახებ დეტალურ ინფორმირებას ისახავს მიზნად.

„ნიუსპრესი“

2014 წლის ბიუჯეტი — ხელისუფლების ახალი თავსატეხი

რატომ იღებს სახელმწიფო მილიარდნახევარზე მეტ ვალს, რატომ უფასურდება ლარი, გაძვირდება თუ არა საწვავი და გადაიქცევა თუ არა საავადმყოფოები სანატორიუმებად

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ამერიკის ეროვნული დემოკრატიის ინსტიტუტის NDI-ს ორგანიზებით, 4 დეკემბერს, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“, 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პრეზენტაცია და განხილვა გაიმართა. განხილვას დებატებიც მოჰყვა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრებს, ფინანსთა სამინისტროს, ასევე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და ეკონომიკის ექსპერტებს შორის. პირველად საქართველოში, სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვაში, არასამთავრობო ორგანიზაციებიც ჩაერთნენ. ეს კარგი, მაგრამ ცოტა დაგვიანებული იდეაა. მართალია, ჭეშმარიტება კამათში იბადება, მაგრამ უკვე შედგენილი და გაკორექტირებული ბიუჯეტის განხილვას აზრი აღარ აქვს — ოპონენტების შენიშვნები ბიუჯეტში რომ ასახულიყო, განხილვა უნდა დაგეგმილიყო გაცილებით ადრე, გაზაფხულზე, როცა სახელმწიფო ბიუჯეტი დგება.

„ვერსიაში“ უკვე ვწერდით, რომ 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კორექტირებული ვარიანტი მთავრობამ პარლამენტს უკვე წარუდგინა. პროექტს საკანონმდებლო ორგანოში მომდევნო კვირაში განიხილავენ.

საპარლამენტო უმრავლესობა-უმცირესობის წარმომადგენლები, ძირითადად, იმის გამო წაკამათდნენ, რომ 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში არსებული, 3.9%-იანი დეფიციტის დასაფარად სახელმწიფო 1 600 000 000 ლარის ვალს იღებს, აქედან 1 მილიარდი ლარი საგარეო ვალია, ხოლო 600 000 000 ლარი — საშინაო. 600 000 000 ლარიდან, სახელმწიფო 200 000 000 ლარს კომერციულ ბანკებში განათავსებს, რათა მათ გრძელვადიანი კრედიტები 1%-იანი სესხის ფარგლებში გასცენ. 400 000 000 ლარი კი სახელმწიფოს ბიუჯეტის გადასახდელების დასაფინანსებლად სჭირდება. ეს ნიშნავს, რომ საბიუჯეტო დეფიციტი გაიზარდა. სოციალური ხარჯების დასაფინანსებლად კი ხელისუფლებას თანხა არ ჰყოფნის. საბიუჯეტო ვალდებულების შესასრულებლად, მთავრობა საშინაო ვალს იღებს და ნაწილს ბანკებში განათავსებს. ხელისუფლება არ აღიარებს, მაგრამ ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში ინვესტიციების სიმცირეა. შესაბამისად, მთავრობა ცდილობს, 200 000 000 ლარი ბანკებს საინვესტიციო სისხლივით გადაუსხას.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრმა, **ზურაბ მელიქიშვილმა** ფინანსთა მინისტრის პირველ მოადგილეს რამდენიმე კითხვით მიმართა: **„პარლამენტში 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის შემოტანისას, გვითხარით, რომ ქვეყანაში კარგი ვითარებაა და მშპ 32 მილიარდი ლარი იქნება. ახლა, ამბობთ, უკეთესი მდგომარეობაა, მაგრამ მშპ 29 მილიარდი ლარიაო... ადრე გვითხარით, საბიუჯეტო დეფიციტი 2%-იაო... ახლა ამბობთ, დეფიციტი 3,9% იქნებაო. რა პროცენტულ ცდომილებაში უნდა ვაპატიოთ ფინანსთა სამინისტროს მშპ-ს პროგნოზირება?“**

გიორგი თაბუაშვილმა განმარტა: **„2013 წლის 30 სექტემბერს, როცა 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის თავდაპირველი ვარიანტი წარმოგიდგინეთ, III კვარტლის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები დათვლილი არ იყო; 2014 წლის პარამეტრები საერთაშორისო სავალუტო ფონდთანაც უნდა შეგვეთანხმებინა. პროექტის მეორედ შემოტანისას, არ შევცვალეთ პირვანდელი გათვლები. ახლა, როცა მეტ-ნაკლებად შეგვიძლია ვთქვათ, როგორი იქნება ეკონომიკური ზრდა, ბიუჯეტის კორექტირება დაგვჭირდა“.**

„ვერსის“ კითხვაზე, რატომ იღებს სახელმწიფო 600 000 000 ლარის შიდა ვალს, საიდანაც 200 000 000 ლარი კომერციულ ბანკებში უნდა განთავსდეს, **ზურაბ მელიქიშვილმა** უპასუხა: **„ეს 200 000 000 ლარი, საქართველოს ეკონომიკას ვერ გამოაცოცხლებს. ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი არაა ორიენტირებული დასაქმების ან სოციალური პროექტების ხელშეწყობაზე. რიგით პოლიციელებს ხელფასი გაეზრდებათ, ეს კარგია, მაგრამ არასაკმარისი. სერიოზული რესურსია საჭირო, სხვადასხვა უწყებაში თანხები გამოთავისუფლდეს და ინფრასტრუქტურული პროექტები გაიზარდოს“.**

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს, დავით ონოფრიშვილს არც შიდა ვალის აღება უკვირს და არც საგარეოსი. მისი თქმით, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, მთავარია, ვალი გონივრულ ზღვარს არ გასცდეს. ამას საპარლამენტო უმცირესობის წევრის, პეტრე ცისკარიშვილის რეპლიკა მოჰყვა: **„ჩვენ რომ საგარეო ვალს ვიღებდით და გვაკრიტიკებდით, კარგი იყო?“**

2014 წლის ბიუჯეტში, სახელმწიფოს ვალი მშპ-სთან მიმართებაში 35.5%-ია. დავით ონოფრიშვილი ამბობს, რომ წინა ხელისუფლების პირობებში, ეს მაჩვენებელი 40%-მდეც ასულა, საერთაშორისო სტანდარტებით კი, სახელმწიფოს ვალი მშპ-სთან მიმართებაში 40-60%-ის ფარგლებშია დასაშვები. საგანგაშოა, თუ სახელმწიფოს ვალი 40%-ს გადასცდება.

პეტრე ცისკარიშვილის განმარტებით, პრობლემა ვალის პროცენტული მაჩვენებელი კი არა, ზრდის ტენდენციაა:

— როდესაც საგარეო ვალს ვიღებდით, მაშინდელი ოპოზიცია მთავრობას კატეგორიულ კლიშეს აწებებდა. ამბობდნენ, ვალებს იღებენ და ჩვენი შვილების გადასახდელი იქნებაო. დღეს ამბობენ, რომ ამერიკაში ხალხი მთელი ცხოვრება ვალებს იღებს და კარგად გრძნობენ თავს. ჩვენ ვალის აღების პრინციპებზე, ტრენდებზე ვამახვილებთ ყურადღებას, თორემ არ ვამბობთ, რომ 35%-იანი სახელმწიფო ვალი ცუდია. გაჭირვებულების დახმარებაში, პენსიების ზრდასა და საყოველთაო დაზღვევის პროგრამაში სათაკილო არაფერია, მაგრამ ესაა სოციალისტური, მემარცხენე ტიპის მიდგომა, რომლითაც ბევრი ქვეყნის მთავრობა გამოირჩევა, მათ შორის ევროპაშიც. საინტერესოა, რამდენად გადახდისუნარიანია მთავრობა? ხელისუფლებას ვალის ხარჯზე უნდა ხალხის გულისმოგება, იმაზე კი არ საუბრობენ, რომ ამით ქვეყანას საბერძნეთიზაციის ორმოში აგდებენ. ამ შეხვედრაზე ერთ-ერთმა გამომსვლელმა თქვა, რომელი გზაა სწორი, ეკონომიკური ზრდიდან გამომდინარე გავუწოდოთ ხელი შეჭირვებულებს, თუ სოციალური დახმარების გზით გვინდა მივაღწიოთ ეკონომიკურ ზრდას? სწორედ ამ ორ მიდგომასა და მსოფლმხედველობას შორის იყო დავა. ვფიქრობთ, ჯერ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა უნდა დაფიქსირდეს, რომელმაც დიდი ბიუჯეტი უნდა წარმოშვას და მაქსიმალურად ყველა უნდა დასაქმდეს მაღალანაზღაურებად სამსახურებში. ამის შემდეგ, გაზრდილი ბიუჯეტიდან, სოციალურად შეჭირვებული, უნარშეზღუდული მოსახლეობისა და პენსიონერების დახმარება რთული არ იქნება. ხელისუფლება საწინააღმდეგო გზით მიდის — არ იზრდება ეკონომიკა, არ შემოდის ინვესტიციები, არ იქმნება ახალი სამუშაო ადგილები, არ ვითარდება ახალი, პროდუქტიული სექტორები, იმ მცირე თანხას კი, რაც გროვდება, სოციალური დახმარებისთვის მიმართავენ, რაც სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანს.

— აზერბაიჯანში ყველა სახის საწვავი გაძვირდა. ორი დღეა ლარის კურსი დაეცა, რასაც ხელისუფლება ნორმალურ პროცესად მიიჩნევს. ამ ტენდენციების გათვალისწინებით, ზოგადად, ფასები გაიზრდება?

— ბოლო დღეებში, ნავთობპროდუქტის პლაცის ფასებისთვის არ გადამიხედავს და ვერ გეტყვით, რა ტენდენციაა, საერთაშორისო ბაზრებზე. არ ველი, რომ ნავთობის ფასი მკვეთრად გაიზრდება, მაგრამ თუ გაიზარდა, ჩვენი გაუფასურებული ლარით საწვავის შეძენა გაგვიჭირდება და ცხადია, გაძვირდება. რაც შეეხება ლარის გაუფასურებას, ქვეყანაში ინვესტიციების ანუ დოლარის შიმშილია, ტურისტული სეზონი შეწყდა და დოლარი არ შემოდის... ეს ბუნებრივია, მაგრამ პროცესი უცხოურ ინვესტიციებს უნდა დაებალანსებინა. დოლარის ეკონომიკაში შეშვების ერთადერთი წყარო ეროვნული ბანკის რეზერვებია და კურსსაც ამით იჭერენ, მაგრამ მაინც ზევით გარბის, რაც თავისთავად, ცუდი ტრენდია. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ეკონომიკა, რომელიც საინვესტიციო შიმშილს განიცდის, არაჯანსაღია. მეორე მხრივ, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში ეს ყველაფერი ფასების ზრდას გამოიწვევს მათთვის, ვინც ხელფასსა და პენსიას ლარში იღებს.

ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელმა **ზურაბ ჭიაბერაშვილმა** „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში დეტალურად არ არის განხილული საყოველთაო დაზღვევის პროგრამისთვის გამოყოფილი ხარჯი: **„საყოველთაო დაზღვევის პროგრამისთვის 300 000 000 ლარი იყო გამოყოფილი, ბიუჯეტის კორექტირებულ ვარიანტში 100 000 000 ლარი მოკლებულია. მაინტერესებს, რის ხარჯზე მოაკლდა ამ პროგრამას თანხა საყოველთაო დაზღვევის პროგრამის ამბულატორული ნაწილი 2013 წლის თებერვალში დაიწყო, ივლისიდან ჰოსპიტალური ნაწილიც დაემატა. პარტიიდან გამოვითხოვეთ ინფორმაცია თვეების მიხედვით, თანხის ხარჯვის დინამიკის მიხედვით კი ჯანდაცვის სამინისტროს თავისუფლად შეეძლო ევარაუდა, როგორ გაეწერა ეს თანხა დეტალურად პროგრამულ ბიუჯეტში. ფინანსთა მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ შეუძლებელია ამ პროგრამის ხარჯების დეტალურად გაწერა, რადგან სახელმწიფომ წინასწარ არ იცის, ვის, როდის და რა ტიპის ოპერაცია დასჭირდება. სინამდვილეში, ეს ტიპიური, ჯანდაცვის სახელმწიფო ფონდია, რაც 2006 წლამდე გვქონდა. ეს ნიშნავს, რომ ფულს ვხარჯავთ იქამდე, სადამდეც გვყოფნის. რეალურად, ძალიან ბევრ ადამიანს სამედიცინო მომსახურებაზე უარს ეუბნებიან, რადგან ჯანდაცვის სამინისტროს ხარჯების უაზრო გაბერვის ეშინია. როცა სადაზღვევო კომპანიებმა საავადმყოფოების კონტროლი დაიწყეს, პროგრამა ხარჯეფექტური გახდა, ახლა კი გამორიცხული არაა, საავადმყოფოები სანატორიუმებად იქცეს“.**

რეზო შატაკიშვილი

სტურუას პარადოქსი

საქართველოში ყველა რეჟისორს, დიდიან პატარიანად, ერთი კონკურენტი ჰყავს — რობერტ სტურუა, ყოველ შემთხვევაში, ასე მიაჩნიათ თავად რეჟისორებს და მათთვის ყველა სხვა რეჟისორი კონკურენტი კი არაა, უბრალოდ, ფეხებში ებლანდება — ხელს უშლის. მოკლედ, სტურუა ყველას კონკურენტია, თუმცა... თავად სტურუას კონკურენტი არ აბადია საქართველოში, არც დიდი და არც პატარა. ესაა სტურუას პარადოქსი და საერთოდ, ქართული თეატრის პარადოქსი. პარადოქსია, მაგრამ რეალობა. სწორედ ეს პარადოქსული რეალობა აძლევს დიდ რეჟისორს საშუალებას, მოიქცეს ისე, როგორც მოეპრიანება, როგორ გუნებაზეც იმ დილას გაიღვიძებს.

სტურუამ იცის, რომ კარგა ხანია, ადგილი აქვს განაღდებული მსოფლიო თეატრის ისტორიაში და სხვა ყველაფერი უკვე წვრილმანია, ის წვრილმანი, ის ხურდა, რომელიც შემდეგ აღარავის ემახსოვრება და არც აღარავინ მოსთხოვს, სამაგიეროდ, ამ წვრილმანებით ახლა კარგად შეიძლება თავის შექცევა. დიახ, თავის შექცევა. მის შემთხვევაში, ჩემი აზრით, სწორედ თავის შექცევასთან გვაქვს საქმე და არა სხვა რაიმე სარგებელთან, რაც, ვთქვათ, არის იგივე ჟერარ დეპარდიესა თუ კუსტურიცას შემთხვევაში. დეპარდიემაც იცის ის, რომ გენიალური მსახიობია და ისიც, რომ იმ იდიოტობების გამო, რომელსაც დღეს რუსეთის საამებლად აკეთებს, მსოფლიო კინოს ისტორიიდან მას არავინ ამოშლის, ამიტომ აკეთებს იმას, რაც უნდა. აცნობიერებს რა იმ ფუფუნებას, რომელშიც აღმოჩნდა საკუთარი ნიჭის, შემოქმედებისა თუ კიდევ სხვა გარემოებათა თანხვედრის გამო, ამ ფუფუნებით სარგებლობს და იხვეჭს სხვა დამატებით — მატერიალურ ფუფუნებას რუსეთისგან.

არა მგონია, სტურუას შემთხვევა მათი ანალოგი იყოს. სტურუა გაცილებით დიდია, ვიდრე ერთი ან მეორე. წლების წინ ვწერდი კიდეც, რატომ იყო სტურუა ასეთი მსუქანი — მას სამყარო აქვს გადაყლაპული-მეთქი, რომ მასში ყველაფერია. დიახ, მასში ყველაფერია, რაც კია ამ სამყაროში, მათ შორის გარკვეული ავანტიურიზმი, თანაც საკმაო დოზით. მას ხიბლავს ეპატაჟიც, ხალხის გაკვირვებაც, მეტიც — გამოთაყვანებაც და ეს ყოველთვის ასე იყო. მას შემდეგ, რაც „სეილემის პროცესით“ გააოგნა ქართული თეატრალური სამყარო და მისგან ყველა რაღაც ამგვარს ელოდა, სერიოზულს, მძიმეს, ფსიქოლოგიურს, სტურუა ყველას ერთად გაეკაიფა და „ხანუმა“ შესთავაზა.

რეჟისორმა ეჟი გროტოვსკიმ მესაზღვრეების კითხვაზე — რა პროფესიის ხართ, უპასუხა — პროფესიონალი მაყურებელი. სტურუა სუპერ-პროფესიონალი მაყურებელია თეატრშიცა და საერთოდ, ცხოვრებაშიც. მას უყვარს ყურება, დაკვირვება და ეს ყველაფერი რომ უფრო საინტერესო იყოს, მიმართავს ერთგვარ ექსპერიმენტებს, მანიპულაციებს ცალკეულ ინდივიდებსა თუ ჯგუფებზე, პროვოცირებას უკეთებს მოვლენებს და შემდეგ უყურებს. უყურებს და ტკბება. ერთის მხრივ, იღებს მისთვის საინტერესო ინფორმაციას, რასაც უამექსპერიმენტოდ ძნელად თუ მიიღებდა და მეორეს მხრივ, ერთობა. ამგვარ ექსპერიმენტებს თეატრში ყოველთვის ატარებდა და შედიოდა კიდეც მისი ხელმწიფეების სტილში. რა მოხდა და რა ხდება ბოლო წლებში ანუ მას მერე, რაც რობერტ სტურუა ღიად ჩაერთო პოლიტიკურ პროცესებში?

შედეგიდან დავიწყოთ: დღეს, ბევრისგან გაიგონებთ, რომ სტურუა კი არის გენიალური რეჟისორი, მაგრამ მიუღებელია მისი პოლიტიკური ხედვა, პოზიციები, გამოხდომები (ეს მათი შეფასებაა) ანუ რეალურად, ისინი ორად ხლეჩენ სტურუას ფენომენს. არადა, არა მგონია, რაიმე გახლეჩილობასთან გვქონდეს საქმე, არც ის, რომ სტურუას პოლიტიკური პოზიციები და ხედვები ისევე გენიალურია, როგორც სტურუას შედევრალური სპექტაკლები. სულაც არ ვეთანხმებით მის არც ერთ სტატუსს „ამ-ამით“ დამთავრებულს, ჯერ ერთი, სწორედ იმიტომ, რომ „ამ-ამ“-ით მთავრდება, რაც იმთავითვე ცხადყოფს, რომ სტურუა თავს იქცევს... მე მაინც მგონია, რომ ბოლო დროს, ეპატაჟის, ავანტიურიზმის მოტრფიალე რეჟისორს თეატრი ეპატარავა ლაბორატორიად, ექსპერიმენტებისთვის, ცდებისთვის და ა.შ. ეპატარავა, ამიტომაც ადგა და მთელი ქვეყანა აქცია საექსპერიმენტო ლაბორატორიად. ატარებს ცდებს პოლიტიკოსებზე, მასებზე, საზოგადოებაზე. სწორედ ამ კონტექსტში იყო განსახილველი მისი ფეისბუკსტატუსებიც. დაწერდა და აკვირდებოდა, ახლა უკვე ვირტუალურ სივრცეში, რამდენ „ლაიქს“ აიღებდა მისი რეპლიკა, რა მოჰყვებოდა, ვის აღაფრთოვანებდა და ვის შეშლიდა ჭკუიდან.

არჩევნების შემდეგ, თუ გახსოვთ, მისი სტატუსების ხშირი ადრესატი გიგა ბოკერია იყო — იგავების მთელი სერია უძღვნა, მაგრამ გიგა რატომღაც კერკეტი კაკალი გამოდგა, არ შეირყა ჭკუიდან, სხვა, ალბათ, შეირყეოდა.

მოკლედ, სტურუა ზის და ჭადრაკს თამაშობს. ხან ერთი პაიკის გალაზიერებას უწყობს ხელს, ხან — მეორისას. დღესაც მახსოვს, ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს, ბურჯანაძე რომ გააქტიურდა და მას ინტელიგენციის წარმომადგენლები ესტუმრნენ, სტურუა ვერ მივიდა, მაგრამ უსტარი გაუგზავნა — თავისთავად, ამ ჟესტში უკვე იყო რაღაც „ვეფხისტყაოსნური“ — გაუგზავნა წერილი, სადაც წერდა, რომ „ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობდა, რომ მას ნინო ბურჯანაძე ეთინათინებოდა.... სტურუას ამ ერთაბზაციანმა წერილმა გაცილებით ძლიერად იმოქმედა მაშინ ბურჯანაძეზე, ვიდრე მთელმა იმ დასმა, რომელიც პარლამენტში ეახლა და უფრო მეტი აქტიურობისკენ მოუწოდა. ზურაბ ჟვანიასთან ერთად, მე თუ მკითხავთ, სტურუას წვლილიც იყო იმაში, რომ ბურჯანაძემ ირწმუნა საკუთარი „თინათინობა“. რა გითხრათ, მე მთელ მის პოლიტიკურ განცხადებებს, სწორედ ამ კონტექსტში აღვიქვამ და, არ მჯერა, რომ ის რობერტ სტურუა, რომელმაც წლებით ადრე იგრძნო და იწინასწარმეტყველა საბჭოთა კავშირის ნგრევა „მეფე ლირში“, დღეს ცდება ან მოვლენების ან ფაქტების შეფასებაში. მომკალით და, არ მჯერა, რასაც ის წერდა ოქტომბრის არჩევნებიდან ორიოდე დღის შემდეგ —ამ ქალაქში მზეც სხვანაირად ანათებსო, ამ დილით 7 საათზე ვისეირნე და ქალაქი უჩვეულოდ წყნარიაო... 7 საათზე ქალაქი ყოველთვის წყნარი და მწყაზარი იყო, არათუ მიშას დროს, მე მგონი, მხედრიონის პარპაშის დროსაც კი — ამ დროს, ამ უთენია ყველას სძინავს, მეეზოვეების გარდა...

რატომ ერჩოდა რობერტ სტურუა მიხეილ სააკაშვილს? აქვე დაივიწყეთ და გამოირიცხეთ ყოველგვარი მერკანტილიზმი ანუ ის, რომ სტურუამ რამე სთხოვა სააკაშვილს, სააკაშვილმა არ გაუკეთა და სტურუა გადაეკიდა.... სხვა რეჟისორების შემთხვევაში, ეს უალტერნატივო ჭეშმარიტებაც კია, მაგრამ სტურუას შემთხვევაში, ინვალიდი ტყუილია. ტყუილია იმიტომ, რომ სააკაშვილმა, მისმა ოჯახმა, ძალიან კარგად იცოდა დიდი რეჟისორის ფასი და, ელემენტარულად, არ გაანაწყენებდა, არც მიხეილს აწყენდა სტურუას მხარდაჭერა და თუნდაც მხოლოდ ამიტომ მოიმადლიერებდა, მაგრამ სტურუა-სააკაშვილის ურთიერთობის გახილვა ამ ჭრილში იმას ნიშნავს, რომ არც ერთისა გაგეგება რამე, არც — მეორისა. აბა, რა მოხდა? ექსპერიმენტატორებს არ უყვართ, როცა საცდელი ობიექტი არ ემორჩილება ექსპერიმენტს. სააკაშვილი არანაირ კონტაქტში არ შედიოდა სტურუას თეატრალურ სამყაროსთან — არც კი მიდიოდა თეატრში. სააკაშვილმა თეატრი თითქოს ტაძრის რანგში მიიღო და, შესაბამისად, მასზეც განავრცო ეკლესიასთან გაფორმებული კონკორდატი და თეატრის საქმეებში საერთოდ არ ერეოდა, მაშინაც კი, როცა ეს თეატრი დგამდა „პრეზიდენტსა და დაცვის ბიჭს“. თუ კარგად გახსოვთ, არანაირი რეაქცია არ ყოფილა ამ სპექტაკლზე და შემდეგ თავად თეატრმა გააპიარა — დაფინანსება ჩამოგვეჭრაო. ანუ სააკაშვილი რეაქციას არ აძლევდა თეატრის იერიშებზე, თითქოს არც იმჩნევდა და სწორედ ეს არშემჩნევა აგდებდა აზარტში რობერტ სტურუას. კაკალი რაც უფრო კერკეტია, მით უფრო მეტი ჟინით ცდილობ მის გატეხვას. ჰოდა, სტურუაც ურტყამდა თავის ჩაქუჩს. რიგ შემთხვევებში, ეს ჩაქუჩის დარტყმა ერთგვარ აუცილებლობასაც წარმოადგენდა — გაიხსენეთ მისი განცხადება საყოველთაო შიშის სინდრომზე. ეს სინდრომი მართლაც იყო. ცალკე თემაა, რამდენად ჰქონდა საფუძველი, მაგრამ რამდენად გაზვიადებული ჰქონდა თავად საზოგადოებას, ყველას რატომღაც რომ ეგონა — უსმენდნენ. არადა, ძაღლადაც არავინ აგდებდა და არც მოსმენაზე ხარჯავდა ფულს, მაგრამ ხომ ეგონათ, რომ უსმენდნენ — არ ვიცი, ალბათ, ამით საკუთარ ამბიციას იკმაყოფილებდნენ გაუკულმართებული ფორმით, საკუთარ თავს აჯერებდნენ, რომ იმდენად მნიშვნელოვანია მათი პოზიცია, შეხედულება თუ ნააზრევი, რომ მთავრობა დგას და უსმენს. ამ შემთხვევაში სტურუამ უტყუარი დიაგნოზი დაუსვა საზოგადოებას, სადღაც იმ რანგის, რაც თავის დროზე, „მეფე ლირში“ დაუსვა საბჭოთა კავშირს, მაგრამ ამ განცხადების გარდა, ყველა სხვა ჩაქუჩის დარტყმა სააკაშვილის მწყობრიდან გამოყვანას ემსახურებოდა და ალბათ სწორედ ამიტომაც გადავიდა ბოლოს იმ ცნობილ განცხადებებზე სომხობასთან დაკავშირებით, სხვანაირად რომ ვერ გამოიყვანა მწყობრიდან.

მე არც მისი რუსეთუმეობის მჯერა, არც მისი გაკეთებული განცხადებების რუსეთთან დაკავშირებით. არ მჯერა იმის, რომ დასავლურ კულტურას ნაზიარები, მეტიც, დასავლური კულტურის შემადგენელი ნაწილი რობერტ სტურუა პრორუსულად აზროვნებდეს ახლა. არ მჯერა ამ შეთქმულების თეორიების, რომ ის რუსეთის კაცია, რომ მისი ბაზარი რუსეთშია და ამიტომ ეპირფერება მათ. სტურუას ადგილი ყველგანაა და მე მაინც მგონია, რომ ის რუსებსაც ეკაიფება, ამ მეოცნებე ხელისუფლებასაც აგიჟებს თავისი მხარდაჭერით და აკვირდება მათ კუნტრუშს. თუ კარგად იკუნტრუშებენ, გააგრძელებს მათ მხარდაჭერას, თუ არა, შეცვლის ურთიერთობის ფორმას და ახლა იმ ჭრილში დააკვირდება. მას უყვარს ექსპერიმენტები, მანიპულაციები.

მას უყვარს ამგვარი ექსპერიმენტებიც — რომელიმე აშკარად უნიჭოზე იტყვის, რომ ნიჭიერია და აკვირდება გარშემომყოფებს, როგორ და რანაირად აღწევს მათში მისი ნათქვამი. გარშემომყოფებს თავიდან უკვირთ მაესტროს განაცხადი, შემდეგ ეჭვდებიან საკუთარ თავში, ავტორიტეტს თავისი გააქვს და ისინიც ნელ-ნელა სხვა თვალით უყურებენ იმ უნიჭოს და ის უნიჭო ნელ-ნელა ნიჭიერდება მათ თვალში. აბა როგორ? ბატონმა რობერტმა თქვა, რომ ნიჭიერია, ესე იგი — ნიჭიერი ყოფილა და ჩვენ ვერ ვხედავდითო.... სტურუა კი უყურებს მთელ ამ პროცესს და ტკბება საკუთარი ძალაუფლებით. ეღიმება როცა ხედავს, მისი ღიად გაჟღერებული შეფასების შემდეგ, როგორ იცვლება იმ უნიჭოსადმი დამოკიდებულება — აგდებულ, ირონიულ დამოკიდებულებას როგორ ენაცვლება პირფერობა თუ მოწიწება. რა ემართება ამ დროს თავად საექსპერიმენტო ბაჭიას ანუ იმ უნიჭოს, რომელიც ნიჭიერად „ეკურთხა“? ის, რა თქმა უნდა, იჯერებს, რომ ნიჭიერია. იჯერებს რომელია?! — ყოველწამიერად გრძნობს იმ ცხელ დამღას შუბლზე, რომლითაც დიდმა რეჟისორმა დადაღა წარწერით „ნიჭიერი“. ამ ექსპერიმენტს ხშირად გაგრძელებაც აქვს — ღრუბლებში აჭრილს, ისევ მაესტრო ანარცხებს ძირს, აი, ასე — როგორც ერთი სიტყვით თქვა, რომ ის ნიჭიერია, ასევე ერთი სიტყვით იტყვის, რომ უნიჭოა და ამ თქვენ იკაროსს ფრთები ეტრუსება და ზღართანით ენარცხება მიწას.

სტურუას აქვს იმის ძალა, ერთი სიტყვით მწვანე აგინთოს იმ სამყაროში, რომელსაც თეატრი ჰქვია და ასევე ერთი სიტყვით წითელი აგინთოს და ყველაფერი დაგიმთავროს. მას ერთნაირად ეიოლება როგორც კარგის, ისე ცუდის კეთებაც — ყოველგვარი დიდი ჭაპანწყვეტის გარეშე და სწორედ ეს სიმსუბუქე აგდებს მას აზარტში, ხან მწვანე აუნთოს ვინმეს — სეზონი გახსნას მისი ბედნიერების, ხან წითელი აუნთოს ვინმეს და იყოს მისი უბედურების კანონმდებელი. აი, „ყვითელს“ რაც შეეხება — სტურუას შუქნიშანზე მუდამ ანთია, მაგრამ — შეუმჩნევლად. უფრო სწორედ, როდესაც მწვანე ანთია, ისე აბრმავებს ბედნიერებს, რომ ვეღარ ხედავენ ყვითელს. ვერ აცნობიერებენ, რომ მეფის ნავში არიან და მუდამ სიფხიზლე მართებთ.

სტურუას უყვარს მოვლენების პროვოცირება, ეპატაჟი, ერთგვარი პროვოკაციები, „ხულიგნობაც“, თუ გნებავთ, ექსპერიმენტების ტარება ყველგან და ყველაზე. სამყაროს მიმართ მისი დამოკიდებულება მთლიანპიროვნულია — იგი ცინიკურად, ირონიულადაა განწყობილი მთელი სამყაროს მიმართ და ეს ჩანს მის სპექტაკლებში, მის ყოველდღიურობაში. იგი არ თამაშობს, ასეთია ანუ — ყველას და ყველაფერს ეთამაშება... ესაა სტურუას პარადოქსი.

საინფორმაციო მხარდაჭერა
СВОБОДНАЯ ГРУЗИЯ

ექსკლუზიური ინტერვიუ ლუდმილა ნარუსოვასთან

რა წვლილს შეიტანს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დარეგულირებაში ანატოლი სობჩაკის სახელობის ფონდი და რატომ უხდის მადლობას პუტინს სანკტ-პეტერბურგის ყოფილი მერის ოჯახი

ერუსუდან შელია
557-100-768

სანკტ-პეტერბურგის პირველი მერი, საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატი ანატოლი სობჩაკი 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენების შემსწავლელ კომისიას ხელმძღვანელობდა და ტრაგედიის ორგანიზატორთა დასჯას კატეგორიულად მოითხოვდა, მოგვიანებით, საქართველოს მოქალაქეობაც მიიღო და საქართველოს დედაქალაქში ძეგლიც დაუდგეს. 4 დეკემბერს, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში ანატოლი სობჩაკის წიგნის — „თბილისის ჟამტეხილი ანუ 1989 წლის სისხლიანი კვირა“ — პრეზენტაცია მოეწყო. ანატოლი სობჩაკის მეუღლე ლუდმილა ნარუსოვა „ვერსიას“ უმხელს, რა როლი შეასრულა 9 აპრილის მოვლენებმა რუსი პოლიტიკოსის ცხოვრებაში და რატომ გადაწყვიტა სკანდალური დოკუმენტების წიგნად გამოცემა.

ერთ მშვენიერ დღეს, უნივერსიტეტში მისულს, კოლეგები შეშფოთებულები დამხვდნენ. ვიკითხე, რა მოხდა, რამ აგაღელვათ-მეთქი? თურმე რამდენიმე წუთით ადრე, უნივერსიტეტში უშიშროების კომიტეტის თანამშრომლები მისულან და ჩემი პირადი საქმე შეუსწავლიათ. მაშინ ყველას უკვირდა, რატომ დადგა ანატოლი სობჩაკი ქართველების მხარეს, როცა მას ქართული ფესვები არ ჰქონდა. თურმე უშიშროების თანამშრომლებს იმის გარკვევა სურდათ, მის მეუღლეს ხომ არ ჰქონდა კავშირი საქართველოსთან. ანატოლი სობჩაკმა კომისიის დასკვნის გახმაურებისას, დეპუტატთა ყრილობაზე საჯაროდ განაცხადა, რომ ჭეშმარიტებას ეროვნულობა არ აქვს. მან სწორედ ჭეშმარიტების გამო გადადგა ეს ნაბიჯი და საბჭოთა კავშირში გაბატონებულ იდეოლოგიას დაუპირისპირდა.

— ანატოლი სობჩაკმა 9 აპრილის მოვლენებზე წიგნის გამოცემა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც რუსთაველის გამზირზე მომხდარი ტრაგედიის შესახებ კომისიის დასკვნა გამოაქვეყნა. საკმაოდ გამოცდილი იურისტი გახლდათ, 9 აპრილის საქმის გამოძიება კი თავისი კარიერის უმნიშვნელოვანეს საქმედ და ეტაპად აქცია — ხშირად ჩამოდიოდა თბილისში, დაკითხვაზე იბარებდა თითოეულ მოწმეს... მაშინ საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა, რუსთაველის გამზირზე მშვიდობიანი აქციის დარბევა მომიტინგეებისთვის დაებრალებინა, ორგანიზატორები პასუხისმგებლობას გაურბოდნენ და დამნაშავედ ქართული საზოგადოების წარმოჩენა სურდათ... ანატოლი სობჩაკი კომისიას სწორედ ასეთ პირობებში ხელმძღვანელობდა.

— ბუნებრივია, ანატოლი სობჩაკზე საბჭოთა კავშირის რეჟიმი ზეწოლასაც ახორციელებდა, თუმცა კომისიამ მომიტინგეები გაამართლა.

— რა თქმა უნდა, ანატოლი სობჩაკზე წარმოუდგენელი ზეწოლა ხორციელდებოდა, წნეხის ქვეშ მეც კი აღმოვჩნდი. იმ პერიოდში უნივერსიტეტის კათედრის დოცენტი ვიყავი.

წიგნშიც ასახულია არამხოლოდ გრძნობები და განცდები, რა პირობებში მუშაობდა კომისია, არამედ დოკუმენტური მასალა, რომელიც ფარდას ხდის, თუ რა მოხდა 1989 წლის 9 აპრილს. პოლიტიკოსები იცვლებიან, ხალხი — მარადიულია, ამიტომ ახალ თაობას, რომელსაც ტრაგიკული მოვლენის შესახებ ინფორმაცია არ აქვს, სიმართლე უნდა ვაცნობოთ.

— წიგნში ანატოლი სობჩაკი წერს, რომ 9 აპრილის მოვლენებმა მის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. როგორ ფიქრობთ, მხოლოდ კომისიის დასკვნა გახდა მიზეზი, მოგვიანებით, თქვენი მეუღლე რუსეთში კორუმპირებულ ჩინოვნიკად რომ გამოაცხადეს და მისმა პოლიტიკურმა რეიტინგმაც საგრძნობლად დაიწია?

— რა თქმა უნდა, ამ კომისიის დასკვნის შემდეგ ანატოლი სობჩაკი არაპატრიოტიზმში დაადანაშაულეს — საკმაოდ მწვავედ აკრიტიკებდნენ ანტირუსული და ანტისაბჭოთა განწყობისთვის, მაგრამ მერწმუნეთ, ანატოლის სიცოცხლის ბოლომდე, არც ერთი წამით არ უნანია, რომ ჭეშმარიტება გამოააშკარავა და სიმართლე დაიცვა. დეპუტატთა სხდომა პირდაპირი ტრანსლაციით, ტელევიზიით გადაიცემოდა ხოლმე, როცა ანატოლი სობჩაკი დეპუტატებს კომისიის დასკვნას აცნობდა, სხდომა საზოგადოებისთვის დახურულად გამოაცხადეს. რეჟიმი მაქსიმალურად ცდილობდა, სიმართლე დაემალა, მაგრამ სხდომის ჩანაწერის მოპოვება და შენახვა მაინც მოვახერხეთ. საქართველოშიც იმისთვის ჩამოვედი, რომ ახალ თაობას ჩვენს მიერ დანახული სიმართლე გავაგებინოთ — მასალებს ქართველები დეტალურად რომ გაეცნენ, წიგნი ქართულ ენაზეცაა ნათარგმნი.

— ვლადიმერ პუტინი თქვენი მეუღლის სტუდენტი და თანაშემწე იყო...

— რუსეთის ამჟამინდელი პრეზიდენტი სობჩაკის მარჯვენა ხელი იყო, როცა იგი პეტერბურგის მერი გახლდათ. ხუთი წლის განმავლობაში ანატოლი და პუტინი ერთად მუშაობდნენ, გულთბილი ურთიერთობა ჰქონდათ... პუტინი იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი იყო, სადაც ლექციებს ანატოლი კითხულობდა და მათი ურთიერთობაც აქედან ჩამოყალიბდა. მართალია პუტინს ბევრ საკითხში არ ვეთანხმები, მაგრამ მადლიერიც ვარ იმის გამო, რაც ჩვენი ოჯახისთვის გააკეთა.

— თუმცა თქვენი შვილი, ცნობილი ტელეწამყვანი ქსენია სობჩაკი პუტინის ხელისუფლებას ღიად უპირისპირდება.

— დიახ, საკმაოდ აქტიურად იბრძვის ოპოზიციურ ფლანგზე... ბავშვობიდანვე დამოუკიდებელი ხასიათი ჩამოუყალიბდა, მაგრამ ამის მიუხედავად, რუსეთის პრეზიდენტის პატივისცემა ჩვენდამი არ გამქრალა. ვერ ვიტყვი, რომ რუსეთში გვდევნიან — ქსენია მამას ძალიან ჰგავს, მებრძოლი ხასიათიც მისგან ერგო მემკვიდრეობით, მაგრამ პოლიტიკურ აზრთა სხვადასხვაობა მტრობაში არ გადაზრდილა. შესაძლოა პუტინს ქსენიას განცხადებები არ მოსწონს, თუმცა, ვფიქრობ, სწორედ ანატოლის გამო პატივს გვცემს.

— რუსეთში, ხელისუფლებაში პუტინის მოსვლის შემდეგ დაბრუნდით. მანამდე ცხოვრობდით საფრანგეთში, სადაც იმავე პერიოდში ბიძინა ივანიშვილიც იმყოფებოდა. გქონდათ მასთან ურთიერთობა, ანატოლი სობჩაკი იცნობდა მას?

— პირადად, ბატონ ბიძინას არ ვიცნობ, თუმცა არ გამოვრიცხავ, მასთან ურთიერთობა ანატოლის ჰქონოდა, რადგან იქ ხშირად ხვდებოდა ქართველებს.

— საქართველოში ანატოლი სობჩაკის ძეგლი რამდენიმე წლის წინ დაიდგა და ამით ქართველმა ხალხმა მისდამი პატივისცემა გამოხატა. რუსეთში რამდენად ადეკვატურად შეაფასეს და დააფასეს ბატონი ანატოლის მოღვაწეობა?

— სხვათა შორის, საქართველოში ანატოლი სობჩაკის ძეგლი უფრო ადრე დადგეს, ვიდრე პეტერბურგში, რაც მიანიშნებს, რომ საქართველო კეთილ საქმეებს არ ივიწყებს და უმადური სახელმწიფო არ არის. პირიქით, ყველა ადამიანს, ვისაც მის განვითარებასა თუ ისტორიაში მცირეოდენი წვლილი შეაქვს, ღირსეულად აფასებს, რასაც ზოგ ქვეყნებზე ვერ იტყვი.

— რას გვეტყვით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე — საქართველოს ტერიტორიების 20% ოკუპირებულია, ე.წ. საზღვართან სადემარკაციო სამუშაოები განახლდა და რუსეთის მხრიდან პროვოკაციების გამწვავებას ელოდებიან.

— დარწმუნებული ვარ, რუსეთის მსგავსად, საქართველოშიც ბევრი წუხს, რომ ჩვენს შორის ხიდი ჩატყდა და გაუცხოება წარმოიშვა. ფაქტია, ერთმანეთის მიმართ ნდობა დავკარგეთ, მაგრამ... როგორც ვთქვი, პოლიტიკოსები მიდიან და მოდიან, ერი კი მარადიულია. მიუხედავად იმისა, როგორი მმართველები ჰყავთ ჩვენ ქვეყნებს და რამდენად ღრმად შევიდნენ ისინი პოლიტიკურ დაპირისპირებაში, ერებს შორის კავშირი არ უნდა გაწყდეს.

ერთმანეთთან ბევრი რამ გვაკავშირებს, ამიტომ პოლიტიკოსებმა დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე მოლაპარაკებები უნდა დაიწყონ. მიხარია რუსულ ბაზარზე „ბორჯომის“, ქართული მანდარინისა და ღვინის გამოჩენა... ჩვენ გვიყვარს საქართველო, გვინდა აქ ხშირად ჩამოვიდეთ. მერწმუნეთ, რუსეთში საქართველო ენატრებათ და უყვართ.

— თუმცა ფაქტია, აგრესია სწორედ რუსული მხრიდან მომდინარეობს...

— დიახ, ჩემი აზრით, პოლიტიკური ინტერესების მიუხედავად, რუსეთი უფროსი ძმის სინდრომისგან უნდა გათავისუფლდეს, რადგან საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა. ქართველ ხალხს საკუთარი ინტერესები აქვს, მათ შორის, გეოპოლიტიკურიც, ამიტომ არ გვაქვს უფლება, მისი კურსის შეცვლა ვცადოთ.

— ცნობილია, რომ ანატოლი სობჩაკის სახელობის ფონდსაც ხელმძღვანელობთ. საქართველოში სხვა პროექტების განხორციელებასაც ხომ არ გეგმავთ?

— საქართველოსთან დაკავშირებით დიდი გეგმები გვაქვს. მაგალითად, ანატოლი სობჩაკის ფონდიდან პეტერბურგში ორი სტუდენტი ფინანსდება. მე მიყვარს ეს ქვეყანა, მიყვარს ქართველი ხალხი და ფონდიც შეეცდება, ქართველ ახალგაზრდებს მომავალშიც დაეხმაროს. დარწმუნებული ვარ, სწორედ ასეთი ნაბიჯები გახდება რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის დალაგების გარანტი.

ვერსიანიუსი

„რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა ქვეყნის დეოკუპაციის შემთხვევაში აღდგება“

„რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა საქართველოსთვისაც სასურველია, რადგან ეს ორ რამეს ითვალისწინებს — ქვეყნის დეოკუპაციას და აღიარების უკან წაღებას“, — ამ განცხადების ავტორი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძეა. მისი თქმით, თუ ეს პირობები შესრულდება, საქართველო რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობას სიამოვნებით აღადგენს: **„რაც შეეხება იმას, რისი წინააღმდეგი და რისი მომხრეა რუსეთის ფედერაცია, ამას მარტივად უპასუხა ნატო-მ, ასევე საქართველომ და იმ ქვეყნებმა, რომელთაც ნატო-ს წევრობა სურთ“.**

ფანჯიკიძის განმარტებით, მხოლოდ ნატო-სა და მისი პარტნიორების გადასაწყვეტია, როგორი იქნება მათი ურთიერთობა და მესამე მხარეს ამ გადაწყვეტილებაზე გავლენა არ შეუძლია.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ რუსეთი ქართულ-რუსული ურთიერთობების განვითარების მომხრეა: **„იმედია, დღის წესრიგში დაბრუნდება დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის საკითხი, რაც ქართული მხარის ინიციატივით შეწყდა“.**

თბილისსა და მოსკოვს შორის დიპლომატიური ურთიერთობები 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების გამო შეწყდა. რაც შეეხება ნატო-საქართველოს ურთიერთობას, ნატო-ს გენერალური მდივნის, ანდერს ფოგ რასმუსენის თქმით, ჩვენი ქვეყანა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს უფრო დაუახლოვდა: **„დავუახლოვდით ბუქარესტის დაპირების განხორციელებას, რომ საქართველო გახდება ალიანსის წევრი“.**

გენერალური მდივნის განცხადებით, საქართველოს დიდი წვლილი შეაქვს საერთო ევროატლანტიკური უსაფრთხოების საქმეში და აღნიშნა ის რეფორმები თუ დემოკრატიული მიღწევები, რასაც ადგილი აქვს საქართველოში, ეს კი გამოიხატა თავისუფალი და სამართლიანი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებაში: **„კიდევ არის სამუშაო ამ პროცესში, მაგრამ ჯამში, უფრო დაუახლოვდით ნატო-ს. ალიანსი რჩება თქვენი მხარდამჭერი“.**

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ კი კომისიის მონაწილეებს ინფორმაცია მიაწოდა ბოლო ერთი წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლების საქმიანობასა და სხვადასხვა რეფორმებზე. ალიანსის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა დადებითად შეაფასეს პროგრესი, რომელსაც საქართველომ მიაღწია დემოკრატიული, თავდაცვის სფეროსა და სამართლებრივი რეფორმების გზაზე. მათ შეაფასეს საქართველოში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები, როგორც თავისუფალი, სამართლიანი და დემოკრატიული, რამაც, მათი თქმით, ხელი შეუწყო საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის მხრივ პროგრესს. ალიანსის წევრებმა მიულოცეს საქართველოს „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ვილნიუსის სამიტზე ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირება და აღნიშნეს, რომ საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებში პროგრესი ასევე სათანადოდ აისახება ნატო-სთან ურთიერთობაზეც. კომისიის სხდომაზე ისაუბრეს ავღანეთის ISA-ის მისიაში საქართველოს მონაწილეობაზეც და კიდევ ერთხელ დააფიქსირეს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი მხარდაჭერა.

„ვერსიანიუსი“

„ოქროს პერგამენტის“ ლაურეატობის კანდიდატები გამოვლინდნენ

„ოქროს პერგამენტის“ ლაურეატობის კანდიდატების სარეიტინგო შერჩევა დასრულდა.

2013 წელს „ოქროს პერგამენტის“ ლაურეატები (წლის ადამიანები და კომპანიები) 12 ნომინაციაში დასახელდებიან, რომელთაგან 11 გამარჯვებული გამოკითხვის საფუძველზე გამოვლინდება, ხოლო ერთ ნომინანტს ორგანიზატორი — ახალი ამბების სააგენტო GHN დაასახელებს.

ტრადიციულად, ერთადერთი ნომინაცია, სადაც რესპონდენტებს ეძლევათ თავისუფალი არჩევანის საშუალება, არის „წლის ადამიანი“, სხვა ნომინაციებში გამოკითხვის ანკეტაში მითითებულია კონკრეტული კანდიდატები, რომლებიც რეიტინგული გამოკითხვით შეირჩნენ. ისევე, როგორც გასულ წელს, ორგანიზატორები საპატიო „ოქროს პერგამენტსაც“ გასცემენ.

ორგანიზატორების განცხადებით, სულ საქართველოს მასშტაბით საკონსულტაციო-კვლევითი ჯგუფის GCG-ის მიერ გამოიკითხება 3 ათასამდე რესპონდენტი.

2013 წლის „ოქროს პერგამენტის“ ლაურეატები გამოვლინდებიან შემდეგ ნომინაციებში: წლის ადამიანი, პოლიტიკოსი, ბიზნესმენი, ხელოვანი, ჟურნალისტი, სპორტსმენი, წლის პროექტი, კომპანია, ბრენდი, კომუნიკატორი, უცხოური კომპანია და „ოქროს პერგამენტის“ საპატიო ლაურეატი.

„ოქროს პერგამენტის“ ლაურეატების დაჯილდოება, ტრადიციულად, 24 დეკემბერს გაიმართება. დაჯილდოების ცერემონიალს წელს ღონისძიების გენერალური სპონსორი — კაზინო „შანგრი ლა“ უმასპინძლებს.

ღონისძიების საინფორმაციო მხარდამჭერები: GHN, „რუსთავი 2“, TV3, რადიო „ფორტუნა“, გაზეთი „პრემიერი“, გაზეთი „ვერსია“, გაზეთი „ქართული სიტყვა“, „მთავარი.ინფო“.

„ოქროს პერგამენტის“ ლაურეატების გამოსავლენად გამოკითხვის ანკეტაში შეყვანილნი არიან შემდეგი კანდიდატები:

წლის პოლიტიკოსი
ალასანია ირაკლი
ბაქრაძე დავითი
ბურჯანაძე ნინო
ვაშაძე გიორგი
ივანიშვილი ბიძინა
ნათელაშვილი შალვა
სააკაშვილი მიხეილი
უსუფაშვილი დავითი
ღარიბაშვილი ირაკლი
წულუკიანი თეა

წლის ბიზნესმენი
გილაური ირაკლი („საქართველოს ბანკი“)
თავაძე გიორგი („ჯი-ემ-თი“)
კვერღელიძე ირაკლი („ორბი“)
ფხაკაძე სოსო („ვისოლი ჯგუფი“)

წლის ხელოვანი
ბუნიათიშვილი ხატია
გურჩიანი თინა — ფილმი „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს“
ექვთიმიშვილი ნანა და საიმონ გროსი — ფილმი „გრძელი, ნათელი დღეები“
თავაძე დათა — „ტროელი ქალები“
თევდორაძე გუგა
კალანდაძე ელენე
კალატოზიშვილი კატო
მაზმანიშვილი დუდა
ნაკაშიძე გიორგი
რაჭველიშვილი ანიტა
ურუშაძე ზაზა — „მანდარინები“
პატარაია დავითი
ჩარკვიანი მიშა — „კატცერმახერი“
ჩიღვინაძე ალექსანდრე — პიესა „ქალაქის მერის ცოლის საყვარელი“

ჟურნალისტი
აქუბარდია დავითი
გაბუნია გიორგი
გრიგოლია ინგა
ზედელაშვილი გელა
პავლიაშვილი ვანო
პაიჭაძე დათო
ჟიჟილაშვილი ნინო
სიჭინავა თეა
შუბლაძე ნინო

წლის ბრენდი
„ვენდისი“
„ზედაზენი“
„მაგთისატი“
„მეღვინეობა ხარება“
„ნატახტარი“
„სმარტი“
„სანტე“

სპორტსმენი
სანიკიძე ვიქტორი
თბილისის „იბერია სტარი“ („ფუტსალი“)
საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები
საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები
საქართველოს რაგბისტთა ნაკრები

წლის პროექტი
„ახალი ხმა“
„ერთი ერთში“
„ვანოს შოუ“
„საქართველოს ვარსკვლავი“
„ცეკვავენ ვარსკვლავები“
თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი — ლევან მათიაშვილი
სამთო-სათხილამურო კომპლექსი ბაკურიანში — გიორგი შაყულაშვილი

წლის კომპანია
„ავერსი“
„აირზენა“
„ალტა“
„ბარამბო“
„დირსი“
„ელიტ ელექტრონიქსი“
„ვისოლი ჯგუფი“
„მ²“
„პე-ეს-პე ფარმა“
„საქართველოს ბანკი“

წლის კომუნიკატორი
„ბილაინი“
„კავკასუს ონლაინი“
„მაგთი“
„სილქნეტი“
„ჯეოსელი“

წლის უცხოური კომპანია
„კარფური“
„ლუკოილი“
„სოკარი“
„ყატარის ავიახაზები“

სწავლა სამსახურის პარალელურად

MBA

სწავლა სამსახურის პარალელურად, მინიმალური ინვესტიცია — მაქსიმალური შედეგი + ინგლისური ენის გაძლიერებული პროგრამა.

კინგსტონის უნივერსიტეტი (აშშ) აცხადებს სტუდენტთა მიღებას სამაგისტრო პროგრამებზე:

- MBA მარკეტინგის მენეჯმენტი
- MBA სასტუმრო ბიზნესი
- MBA ორგანიზაციათა მართვა
- MBA საერთაშორისო ბიზნესი
- MBA საინფორმაციო სისტემების მართვა
- MBA ჯანდაცვის მენეჯმენტი
- MBA ელექტრონული ბიზნესი
- MBA ჰორეკა მენეჯმენტი
- MBA ფინანსები
- MBA ბუღალტერია/გადასახადები
- MBA ეკონომიკა
- MBA არასამთავრობო ორგანიზაციების მართვა
- MBA მენეჯმენტი

ინგლისურ და რუსულენოვანი სამაგისტრო პროგრამების უპირატესობები თქვენთვის და თქვენი კომპანიის თანამშრომლებისთვის:

- ისწავლოთ თქვენთვის მოსახერხებელ დროს;
- მიიღოთ თანამედროვე სტანდარტის კვალიფიკაცია;
- დაზოგოთ ფულადი სახსრები;
- აირჩიოთ მოდულების თანმიმდევრობა;
- აიღოთ ტაიმ-აუტი და განაგრძოთ სწავლა მოგვიანებით.

სწავლება ორწლიანია. უნივერსიტეტის სარეგისტრაციო ერთჯერადი მოსაკრებელი შეადგენს 680 აშშ დოლარს; ხოლო მეორე წლის ბოლოს – 700 აშშ დოლარს.

რუსულ ენაზე სწავლის შემთხვევაში სტუდენტი დამატებით გაივლის ინგლისური ენის გაძლიერებულ კურსს.

რეგისტრაციისთვის საჭიროა CV, ბაკალავრის დიპლომის ასლი და ფოტოსურათი დაარქივებულ ფორმატში. ელფოსტაზე: **danikaconsulting@yahoo.com**. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ არჩეული პროგრამის სახელწოდება. ტელ: 570700537; 593302555

ვერსიანიუსი

„სახალხო პოეტისა“ და „სახალხო მწერლის“ საპატიო წოდებები აღადგინეს

მწერალთა კავშირის თავმჯდომარის, მაყვალა გონაშვილის განცხადებით, „სახალხო პოეტის“ საპატიო წოდება ბოლოს 1957 წელს გალაკტიონ ტაბიძემ მიიღო: **„57-წლიანი პაუზის შემდეგ მწერალთა კავშირის გამგეობამ „სახალხო პოეტისა“ და „სახალხო მწერლის“ საპატიო წოდებები აღადგინა და პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანსა და მწერალ ჭაბუა ამირეჯიბს მიანიჭა“.** ჯანსუღ ჩარკვიანისა და ჭაბუა ამირეჯიბის დაჯილდოება 2014 წლის დასაწყისში, საშობაოდ გაიმართება.

„მთელი ცხოვრება ჩემს ხალხთან ვიყავი და ვარ. ჩემი პოეზია ხალხს ეკუთვნის... ყველას თავის სიცოცხლის წიგნი აქვს. ჩემი წიგნი ხალხის მიერაა შექმნილი, სიჩუმით არასოდეს მიხმაურია. მთელი სიცოცხლე ჩემს ხალხთან ერთად ვხმაურობდი და ვიბრძოდი ჩემი ხალხის თავისუფლებისათვის! რაც მთავარია, ვიარე სიყვარულის გზით, რამეთუ კარგად ვიცი: ღმერთი სიყვარულია! გამოვტყდები და ვიტყვი: ჩემთვის სახალხოობა მოულოდნელი იყო, მაგრამ ერთს მაინც მოგახსენებთ ხმამაღლა: უღრმესი მადლობა მწერალთა კავშირსა და მის ხელმძღვანელობას, რომლებმაც აღადგინეს ეს ეროვნული უფლებამოსილება. მე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ჯანსუღ ჩარკვიანი პირობას ვდებ, კვლავ სახალხოდ ვემსახურო ჩემს ქართველ ხალხს! ისიც მინდა ვთქვა, რომ მთელი ცხოვრება ჭაბუა ამირეჯიბის გვერდით ვიყავი. მიხარია, რომ ამ ძვირფას კაცთან ერთად, სახალხოდ მაღიარეს“, — განაცხადა ჯანსუღ ჩარკვიანმა.

„სახალხო მწერლის“ საპატიო წოდების მინიჭებისთვის მწერალთა კავშირს ასევე უხდის მადლობას ჭაბუა ამირეჯიბი და აცხადებს, რომ ეს წოდება ყველა სხვა რეგალიაზე მაღალია.

„ფრონტნიუსი“

ქვევრის ღვინის დაყენების ქართულ მეთოდს იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის, გურამ ოდიშარიას ხელმძღვანელობით, საქართველოს დელეგაცია ქალაქ ბაქოში, იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მთავრობათაშორისი კომიტეტის მე-8 სესიას დაესწრო. ახალი ნომინაცია აამაღლებს საქართველოს, როგორც უძველესი კულტურის მქონე ქვეყნის ცნობადობას საერთაშორისო მასშტაბით, რომელმაც არა მხოლოდ შემოინახა ქვევრის ღვინის დაყენების 8000-წლიანი ისტორია, არამედ დღესაც აცოცხლებს მას. ეს ფაქტი ხელს შეუწყობს ზოგადად ქართული ღვინის პოპულარიზაციასაც საერთაშორისო ბაზარზე. ქართული მხარის მიერ უკვე შემუშავებულია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონის პროექტი, რომელიც მომავალში პარლამენტს წარედგინება განსახილველად.

„ნიუსპრესი“

ჰოროსკოპი
6 დეკემბერი

ვერძი — აქტიური, შემოქმედებითი დღეა, ადვილად მოაგვარებთ ფინანსურ პრობლემებს, თავი აარიდეთ მემკვიდრეობის საკითხის გარკვევას. მეტი დრო დაუთმეთ საყვარელ ადამიანს.

კურო — კარგი დღეა ფინანსური ოპერაციებისა და კარიერული წინსვლისთვის. დიდია გავლენიან ადამიანებთან შეხვედრის ალბათობა. დღის მეორე ნახევარში კი თავს დასვენების უფლება მიეცით.

ტყუპები — ეცადეთ ისარგებლოთ შექმნილი ვითარებით და არსებული უთანხმოება თუ გაუგებრობა მოაგვაროთ. მცირე პრობლემა საქმიან პარტნიორებთან მიზნის მიღწევაში ხელს ვერ შეგიშლით.

კირჩხიბი — სავარაუდოდ, დღე კონფლიქტით დაიწყება, ამიტომ ემოციები მოთოკეთ და განსაკუთრებით თავაზიანი იყავით კოლეგების მიმართ.

ლომი — ორგანიზებული და ეურადღებიანი უნდა იყოთ, რათა მნიშვნელოვან სამუშაოს გაართვათ თავი. მიზანდასახულობა დაგეხმარებათ გეგმების განხორციელებაში.

ქალწული — მოსალოდნელია ცვლილებები სამსახურში. არ არის გამორიცხული, ვიღაცამ არასწორად შეაფასოს თქვენი საქმიანი აქტიურობა და ზედმეტად თავდაჯერებულად მიგიჩნიოთ.

სასწორი — ეურადღებით იყავით პარტნიორის არჩევისას. ურთიერთობა შეიძლება ხანმოკლე აღმოჩნდეს, მაგრამ ნურც მოვლენებს დააჩქარებთ — არ არის სასიკეთო პერიოდი კარდინალური ცვლილებებისთვის.

ღრიანკალი — შესაძლოა, გაურკვეველ ვითარებაში აღმოჩნდეთ, რაც თქვენგან ტაქტსა და გამძლეობას მოითხოვს. ვერც უსიამოვნო, სერიოზულ საუბარს აიცილებთ თავიდან.

მშვილდოსანი — უფროსობასთან ურთიერთობაში სიბრძნე და გამძლეობა გამოავლინეთ. გულდია საუბარი კი საკუთარი თავის რწმენას დაგიბრუნებთ.

თხის რქა — სერიოზული სამუშაოსა და გაბედული ჩანაფიქრის ასრულებისთვის დღე საუკეთესოა. მოგეცემათ შესაძლებლობა, დასახულ მიზანს მიაღწიოთ.

მერწყული — თამამად გაანდეთ თქვენი იდეები კოლეგებსა და უფროსობას — ეს დაგეხმარებათ კარიერულ წინსვლაში და ფინანსურ მდგომარეობასაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესებთ.

თევზები — თქვენს ქცევაში სიმსუბუქე და სპონტანურობა იგრძნობა, თუმცა მაინც ახერხებთ, ნებისმიერ წვრილმანს მიაქციოთ ეურადღება. შესაძლოა კარგი ამბავი შეიტყოთ ნათესავისგან, რაც თქვენს მომავალზე დადებითად აისახება.

ვისაც თვალის ფერის შეცვლა სურს



ასეთ ადამიანებს შეუძლიათ ნიუიორკის კლინიკის Island Eye Surgicenter მკვლევარებს მიაკითხონ. სწორედ მათ შეიმუშავეს თვალის ფერის შეცვლის მეთოდი, რომელსაც მხოლოდ 15 წუთი სჭირდება. ოპერაციისას, თვალში პატარა ჭრილის მეშვეობით, სილიკონის თხელი იმპლანტანტი შეჰყავთ, რომელიც თვალის ფერადი გარსის ფერს ცვლის. პროცედურა მცირე ხანს გრძელდება და ადგილობრივი ანესთეზიით ტარდება.

ბერლუსკონის თავი უნიტაზად „აქციეს"



იტალიელმა მხატვარმა რადიჩ მაიაკაუსასმა, ტურინის გამოფენაზე წარმოადგინა უნიტაზი, რომელსაც ბერლუსკონის თავის ფორმა აქვს, სახურავს კი „ამშვენებს" წარწერა: „ნება მომეცით". ტურინის თანამედროვე ხელოვნების გამოფენაზე Paratissima რადიჩის ნამუშევრებს თავდან ბლოკავდნენ, რადგან ორგანიზატორები ხელისუფლების კრიტიკას გაურბოდნენ, მით უმეტეს, ექსპრემიერისთავიან უნიტაზს გვერდს კიდევ ერთი პოლიტიკოსის, უმბერტო ბოსის გამოსახულება უმშვენებს, რომლის თავიც მხატვარმა ბიდედ აქცია და „პადანია" უწოდა. კრიტიკოსები ამ უცნობ ხელოვანს ახასიათებენ, როგორც პაროდიის, გროტესკის, სატირის მოყვარულსა და პოლიტიკოსების კრიტიკოსს. აღსანიშნავია, რომ რადიჩს ადრეც არაერთხელ გამოუსახია საყოფაცხოვრებო ნივთებზე ცნობილი ადამიანები, მათ შორის, სტალინი, ჰიტლერი, მაიკლ ჯეკსონი და მერილინ მონრო.

გაზიანი სასმელი ტვინს ვნებს

ავსტრალიელმა მეცნიერებმა სიდნეის უნივერსიტეტიდან გაზიანი სასმელის გავლენა შეისწავლეს თავის ტვინზე და დაასკვნეს, რომ სასმელის მოხმარება დიდი რაოდენობით, ტვინში ცილის დონეს ცვლის. მკვლევარებმა „ტკბილი დიეტა" ლაბორატორიულ ვირთხებს ჩაუტარეს — მათ მტკნარის ნაცვლად, დამტკბარ წყალს ასმევდნენ, რამაც რადიკალურად შეცვალა მღრღნელების ტვინის ქიმიური შემადგენლობა და მათი ქცევა. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ცვლილებები ფიქსირდება ონკოლოგიურ პაციენტებსა და ალცჰეიმერით დაავადებულებში, — ამბობენ ავსტრალიელი მკვლევარები და დასძენენ, რომ დღეში რამდენიმე ქილა გაზიანი სასმელი ადამიანის სიცოცხლეს ორჯერ ამცირებს.

ჰოროსკოპი
7 დეკემბერი

ვერძი — დღეს ბევრი საინტერესო ცვლილება გელით, არსებული ქაოსი დამღლელი აღმოჩნდება, თუმცა თუ სიმშვიდის შენარჩუნებას მოახერხებთ, ვითარებას თქვენს სასარგებლოდ შემოატრიალებთ.

კურო — იმ საქმესთან მოგიწევთ შეჭიდება, რაც თქვენთვის უცხოა, ეს კი დიდ დროსა და ენერგიას წაგართმევთ, სამაგიეროდ, დღეს აზრიანად გაატარებთ. საღამოს კი სჯობს, შეგობრებს ესტუმროთ.

ტყუპები — ვიდრე სამსახურის შეცვლას გადაწყვეტთ, ჯერ კარგად დაფიქრდით. შესაძლოა, ამ ნაბიჯმა სასურველ მიზნამდე არ მიგიყვანოთ და უფრო მეტი პრობლემა შეგიქმნათ.

კირჩხიბი — არ ღირს ეურადღების ცენტრში ყოფნა, რადგან შესაძლოა თქვენთვის უსიამოვნო შეხვედრას თავი ვერ აარიდოთ. ეცადეთ განმარტოვდეთ და კარგად გაანალიზოთ სამომავლო გეგმები.

ლომი — დღე მშვიდი იქნება, თავისუფლად შეგიძლიათ რეალობას დროებით გაერიდოთ და თავს დასვენების უფლება მისცეთ — ნურც საქმიან შეხვედრებს დაგეგმავთ და ნურც დოკუმენტებზე მოაწერთ ხელს.

ქალწული — თქვენს ირგვლივ სრული ქაოსია და ვერაფრით აღწევთ თავს მას. ეცადეთ ვითარების ადეკვატურად იმოქმედოთ და მშვიდად შეხვდეთ ცვლილებებს.

სასწორი — გაუფრთხილდით ჯანმრთელობას, შესაძლოა, სასიცოცხლო ენერგია დაქვეითდეს და გადაიღალოთ. გაითვალისწინეთ, რომ ცხოვრებაში სამსახურის გარდა სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორებიც არსებობს.

ღრიანკალი — ვარსკვლავები გირჩევენ, ფიზიკურ შრომას მიუძღვნათ თავი, ონებრივი სამუშაოსგან კი დაისვენოთ. ოჯახის წევრებთან სასიამოვნო საუბარი განტვირთვის საშუალებას მოგცემთ.

მშვილდოსანი — დროა გაანონბიეროთ, რომ ანგარიშვალდებული არავის წინაშე ხართ და საკუთარ საქციელზეც უნდა აიღოთ პასუხისმგებლობა.

თხის რქა — დიდია ოჯახის წევრებთან კამათის ალბათობა. შეეცადეთ თავი აარიდოთ ორმხრივ ბრალდებებს და რაც მთავარია, მაქსიმალურად ეცადეთ, კონფლიქტის პროვოცირება თავად არ მოახდინოთ..

მერწყული — გრძნობები აგაფორიაქებთ, მოსვენებას არ მოგცემთ ეჭვები ახალ ნაცნობთან ურთიერთობის თაობაზე, მაგრამ ახლა არ არის პირადი ცხოვრების მოწყობის დრო, რადგან არსებული პრობლემები სწრაფ რეაგირებას მოითხოვს.

თევზები — დღე საკმაოდ გრძელი და დამღლელი იქნება. თუმცა შესრულებული სამუშაოთი უდავოდ კმაყოფილი იქნებით. ეცადეთ მეტი ეურადღება დაუთმოთ მათ, ვინც გიყვართ.

ოფიციალური საჩუქარი საცოლისთვის

ჩინელმა მამაკაცმა საცოლეს 102 კილოგრამი ფული, მთლიანობაში 8,88 მილიონი იუანი (დაახლოებით 1,5 მილიონი დოლარი) საჩუქრად გადასცა. გოგონას ეს ორიგინალური საჩუქარი მუყაოს ყუთებით მიართვეს და როგორც ჩინური მედია იუწყება, ჩეენციანის პროვინციაში ასეთი ტრადიციაა — სასიძომ საპატარძლოს ძვირფასი საქორწინო საჩუქარი უნდა მიართვას, თუმცა დიდი თანხის მიუხედავად, პროვინციის მცხოვრებლებმა ასეთი „მარტივი" ძღვენისთვის სასიძო მაინც გააკრიტიკეს. მამაკაცის განცხადებით, მან კონკრეტული თანხა — 8,88 მილიონი იუანი იმიტომ შეარჩია, რომ ჩინეთში 8-ს ბედნიერ რიცხვად მიიჩნევენ.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი" გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

სუდოკუმანია

ადვილი

	9				5		2	3
			7			1		
			8	4	9			
5				1			7	
	3	8				9	1	
	7			9				2
			9	3	6			
		3			4			
7	6		5				4	

სტანდარტი

	8	2				4		
			3		1		6	
								2
	6	7			4	2	9	
5								6
	9	3	6			5	1	
7								
	4		5		9			
		6				9	5	

რთული

4		6			1			
	5		3					6
3	2		7				1	
	6					7		5
				7				
8		7					4	
	8				4		5	3
6					3		8	
			1			4		9

ექსპერტი

	5				1			
3	2							4
			6	5	4			
	9							3
		5	4	1	3	2		
4							1	
			1	3	8			
2							5	9
			5				3	

ჰოროსკოპი

8 დეკემბერი

ვერძი — დღე წარმატებას გიქადით სიყვარულში. კარგი დროა ასევე კულტურულ ღონისძიებებზე, წვეულებებზე წასასვლელად. რომანტიკულ განწყობაზე ხართ და მოსაწყენი სამუშაოს შესრულება გეზარებათ.

კურო — დღე სასიკეთო იქნება — თუ იშრომებთ, შედეგსაც სასურველს მოიმკით. დაწყებული საქმის მოგვარებაში დაგჭირდებათ ახლობლების ან მეგობრების რეკომენდაციები.

ტყუპები — ტუუჩებისთვის დღე, შესაძლოა, უსიამოვნებით დაიწყოს — მოთმინება გამოიჩინეთ, რათა თავი აარიდოთ კონფლიქტს ახლობლებთან. დაწყებული საქმის დასრულებაში ხელს ვერაფერი შეგიშლით.

კირჩხიბი — ფინანსური დანაკარგი გელით — ეს ყველაფერი კი თქვენი ზედმეტი თავდაჯერებულობის ბრალი იქნება. არ არის გამორიცხული, დღის მეორე ნახევარში სასიხარულო შეხვედრა შედგეს.

ლომი — ყოველ სიტყვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ამიტომ მიაქციეთ ყურადღება, რას ლაპარაკობთ. კვლავ წამოიჭრება უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხი.

ქალწული — განსაკუთრებით ფრთხილი და ყურადღებიანი იყავით — თქვენს ირგვლივ ყველა კეთილგანწყობილი ნამდვილად არ არის. შესაძლოა, დაგეგმილი შეხვედრა ჩაიშალოს, მაგრამ ეს გეგმის განხორციელებაში ხელს ვერ შეგიშლით.

სასწორი — არ არის გამორიცხული, კოლეგებმა არასწორად გაგიგონ. ამიტომ სჯობს, თავშეკავება გამოიჩინოთ ყველა საკამათო საკითხში და თქვენი სწორი შეხედულებები გარშემომყოფებს სხვა დროს გაუზიაროთ.

ღრიანკალი — დაგეგმილი მოგზაურობა შესაძლოა არ შედგეს ობიექტური მიზეზების გამო, ფინანსურ ოპერაციებშიც მეტი სიფრთხილე გამოიჩინეთ. დღის მეორე ნახევარში კი ეცადეთ, დრო ოჯახის წევრებისთვისაც გამონახოთ, ამით მათ ძალიან გაახარებთ.

მშვილდოსანი — დღე უფროსებთან კამათს გიქადით, მაგრამ მთლიანობაში საკმაოდ ეფექტურად ჩაივლის, თუკი თქვენს პოტენციალს სწორად მიმართავთ. მიმდინარე საქმეები შემოსავლიანი აღმოჩნდება.

თხის რქა — დაკავებული ხართ და არ გყოფნით დრო ურთიერთობებისთვის. წარმატებული დღეა შემოქმედებითი პროფესიის მქონეებისთვის. საღამოს მეგობრებს შეეხმიანეთ და ცოტა ხნით მაინც განიტვირთეთ არსებული პრობლემებისგან.

მერწყული — მოპოვებული ინფორმაცია თავდაყირა დააყენებს თქვენს ცხოვრებას. მთავარია განსაზღვროთ, რა შეიძლება მოყვეს მის გამჟღავნებას. იყავით თავშეკავებული და ვითარების შესაბამისად იმოქმედეთ.

თევზები — შესანიშნავი დღეა შეხვედრებისა და პაემნისთვის. სახლის საქმეებიც კარგად მიდის. რაც შეხება სამუშაოს, თავი შეიკავეთ ხელშეკრულებების გაფორმებისგან, საღამო კი ოჯახურ კომპანიაში გაატარეთ.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

5	4	8	1	3	2	9	7	6
2	7	6	5	4	9	8	3	1
3	1	9	8	7	6	5	4	2
4	9	3	2	6	1	7	8	5
7	5	2	4	9	8	6	1	3
6	8	1	3	5	7	4	2	9
1	3	7	6	8	5	2	9	4
9	2	5	7	1	4	3	6	8
8	6	4	9	2	3	1	5	7

სტანდარტი

7	9	1	8	3	6	5	4	2
8	6	5	4	2	1	7	3	9
2	4	3	9	7	5	1	8	6
5	3	6	7	4	2	9	1	8
4	1	2	6	9	8	3	7	5
9	8	7	5	1	3	6	2	4
6	5	4	3	8	7	2	9	1
3	2	9	1	6	4	8	5	7
1	7	8	2	5	9	4	6	3

რთული

6	2	5	4	3	1	9	8	7
7	8	3	9	6	5	4	2	1
4	1	9	8	7	2	3	6	5
5	9	6	2	1	8	7	4	3
3	4	8	7	5	9	6	1	2
1	7	2	6	4	3	8	5	9
2	6	4	1	9	7	5	3	8
9	5	1	3	8	4	2	7	6
8	3	7	5	2	6	1	9	4

ექსპერტი

5	9	4	3	8	2	7	6	1
6	2	3	9	1	7	5	4	8
1	8	7	6	5	4	9	3	2
9	3	8	7	2	1	6	5	4
4	1	6	5	9	3	8	2	7
2	7	5	8	4	6	1	9	3
8	6	2	4	7	5	3	1	9
7	5	1	2	3	9	4	8	6
3	4	9	1	6	8	2	7	5

მე-9 გვერდი: 1. სანსკრიტი; 2. „ლექსუსი“; 3. სიბარიტი; 4. ნარიყალა; 5. კოხი; 6. ესპანიოლა; 7. სარანდონი; 8. სასო; 9. ერაყი; 10. ანანური; 11. ხარება; 12. პარისი; 13. აომინი; 14. სკლერა; 15. მეანი; 16. კლოდ; 17. ოდესა; 18. ნანა; 19. პლატო; 20. მოკო; 21. ნიკე; 22. „დინამო“; 23. პომპეი; 24. იპოქონდრია; 25. ადიდასი; 26. ნივა; 27. პრაია; 28. ამორძალი; 29. ადამ; 30. ვატი; 31. სტრიპი; 32. ერმოლოვი; 33. პილოტი; 34. დილიჟანი; 35. ლილიპუტი; 36. ჟამი; 37. იკა; 38. კონან; 39. სედრაქი; 40. შეთე; 41. ომარ; 42. ტაი; 43. ძუა; 44. სოლომონი; 45. ონორე; 46. ანი; 47. ირა; 48. არახამია; 49. მიოპია; 50. ლეიცინი; 51. ნეოგეა; 52. პიმი; 53. ღანირი; 54. გაგარინი; 55. დელი; 56. ტოკიო; 57. აპო; 58. „ილიადა;“; 59. აპისი; 60. ლაერტი; 61. ტელური; 62. ალური; 63. ალუ; 64. არგო; 65. ელიავა; 66. ატელანა; 67. როკაპი; 68. შაური; 69. ილი; 70. აგრიპა; 71. ნაი; 72. ატრია; 73. პალაცო; 74. ძუ; 75. სი; 76. დუნაი; 77. დრიუ; 78. იანუსი; 79. ისო; 80. ებრო; 81. კობი; 82. კაა; 83. ბუი.

მსუქანი ქალები ჭამხლოებზე ჭკვიანები არიან

ამერიკელმა სწავლულებმა პიტსბურგის უნივერსიტეტიდან გამოკვლევა ჩაატარეს, რომლის დროსაც ქალის წონასა და მის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს შორის კავშირი დაადგინეს. ხანგრძლივი დაკვირვების ობიექტი კვლევებისას, სხვადასხვა წონის მქონე, 16 ათასი ქალბატონი იყო. ექსპერიმენტი ითვალისწინებდა ტესტირებას საზრიანობასა და გამჭრიახობაზე. შედეგების გაანალიზებისას მკვლევარებმა აღმოაჩინეს გასაოცარი კანონზომიერება: საუკეთესო შედეგები ტესტების ამოხსნისას სუსტი სქესის იმ წარმომადგენლებმა აჩვენეს, რომელთაც „ფუმფულა“ ფორმები ჰქონდათ. ამასთან, რამდენადაც მსუქანი იყო ქალი, მით მეტ გამჭრიახობას იჩენდა. შედეგების შეჯამების დროს სწავლულებმა განაცხადეს, რომ მსგავს ვითარებაში არ არსებობს შემთხვევითობა, მსუქნები უფრო სწრაფად უმკლავდებოდნენ ინტელექტუალურ ამოცანებს სწორედ საკუთარი კომპლექციის წყალობით. სპეციალისტები ამ ფაქტს მსუქანი ქალების ორგანიზმში დიდი ოდენობით ორგანული მჟავის არსებობას უკავშირებენ, რაც ხელს უწყობს მაღალი დონის ინტელექტუალური უნარების განვითარებას.

რობოტმა თავი მოიკლა

ავსტრიაში, ჰინტერსტოდერის კომუნაში უჩვეულო ინციდენტი მოხდა — სახლის რობოტიდამლაგებელი „გაგიჟდა“, მოულოდნელად თვითონ ჩაირთო, შემდეგ კი დაიწვა. ადგილობრივმა პრესამ მომხდარი რობოტის „თვითმკვლელობად“ შეაფასა, რომელსაც ერთფეროვანი და დამღლელი სამუშაო მობეზრდა. ყველაზე უსიამოვნო კი ისაა, რომ „უბედურმა“ რობოტმა მხოლოდ თავი კი არ დაიწვა, პატრონის ბინაც ლამის მთლიანად გადაბუგა. როგორც მეხანძრეები აცხადებენ, იმ დღეს 44 წლის ავსტრიელმა რობოტი მაგიდაზე მოათავსა, რათა დაღვრილი ფაფა აეწმინდა. მას შემდეგ კი, რაც დამხმარემ საქმეს თავი წარმატებით გაართვა, პატრონმა გამორთო და სამზარეულოს ბარზე დატოვა, თავად კი ცოლ-შვილთან ერთად სასეირნოდ წავიდა. ვიდრე სახლში არავინ იყო, რობოტი უცებ ჩაირთო, მაგიდაზე გახოხდა, წინ მდგარი ქვაბი გვერდზე გასწია, ელექტროქურაზე ავიდა, რომელიც რატომღაც ჩართული აღმოჩნდა (ან თავად ჩართო) და დაჯდა. კვამლით შეწუხებულმა მეზობლებმა სახანძრო გამოიძახეს, მაგრამ მათ რობოტისგან მხოლოდ ფერფლის გროვალა დახვდათ, გადამწვარი იყო ბინაც, სახლის პატრონი კი აპირებს, კომპენსაცია მოთხოვოს კომპანიას, ვისგანაც ძვირადღირებული რობოტი შეიძინა.



1. ლუარსაბის მეუღლე „კაცია-ადამიანი?!“

2. ძველ საბერძნეთში: ტაძარი, სადაც ქურუმები წინასწარმეტყველებდნენ

3. ხის ჩასაბერი საკრავი

4. რომის მითიური დამაარსებელი

5. აბაზანა ჰიდრომასაჟით

6. მუს. ნაწარმოების დასწავლა ან სასინჯი შესრულება

7. საკონდიტრო ნაწარმი

8. ფრანგი კინორეჟისორი

9. „ყინულების ქვეყანა“

10. მატერიის ერთ-ერთი ძირითადი თვისება

11. თეთრეულის შესანახი ავეჯი

12. „დათქმული“ საიდუმლო სიტყვა

13. დედალოსის ურჩი ვაჟი

14. „გამზრდელის“ პერსონაჟი

15. ალბანეთის ფულის ერთეული

16. სოფელი ოჩამჩირის რაიონში

17. ტრიგონომეტრიული ფუნქცია

18. თავისუფალი ფორმის ნარკვევი

19. გამარჯვების ბერძნული ქალღმერთი

20. კვერცხის თეთრი გარსი

21. გაზაფხულის თვე

22. გერბების შემსწავლელი ისტორიული დისციპლინა

23. რუსული კოსმონავტიკის „მამა“

24. ზაფხულის პირველი თვე

25. ფასიანი ქაღალდის სახეობა

26. შექსპირის „მეფე ...“

27. ქაღალდისაგან სხვადასხვა ფიგურების გაკეთების ტრადიციული იაპონური ხელოვნება

28. სხვადასხვა ქანის და მინერალის ფხვიერი ნაერთი

29. იაპონური ავტომარკა

30. ერთ-ერთი ქრისტიანული საიდუმლოთაგანი

31. კეთილშობილი ლითონი

32. ძვლოვანი წანაზარდი ცხოველის თავზე

33. მცენარეთა მიწისქვედა ნაწილი

34. პინოქიოს რუსი „კოლეგა“

35. ათენის საფეხბურთო კლუბი

36. „ბარსელონას“ კაპიტანი ... პუიოლი

37. ანტილოპას სახეობა

38. ინდონეზიის კუნძული

39. ქალაქი ქვემო ქართლში

40. ფრანგი ტიფლოპედაგოგი, უსინათლოთა შრიფტის შემქმნელი

41. იაპონური თეატრის სახეობა

42. მცირე ზომის საოპერო პარტია

43. ცნობილი ფრანგი ქართველოლოგი

44. მომჭირნეობა, მომჭირნეობით ხარჯვა

45. ყველაზე დიდი ზომის ანტილოპა

46. მშვილდით სასროლი ჯოხი

47. სასჯელის შემსუბუქება

48. ვერცხლის ფულის სახელწოდება საქართველოში

49. ცომის გასაბრტყელებელი ფიცარი

50. ქართული მითოლოგიის გმირი

51. მსახიობი ... პიტი

52. არქიმედეს ცნობილი წამოძახილი

53. არტემიდას ტაძრის ქალაქი

54. აშშ-ს ტელეპრემია

55. ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და ...“

56. ნახევრად ძვირფასი ქვა

57. მსგავსი გარეგნული ნიშნების მქონე ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ჯგუფი

58. დეკლასირებული ელემენტი საფრანგეთში

59. რუსების საბრძოლო ყიჟინა

60. ქაღალდის საზომი ერთეული

61. გერდას მეგობარი

62. მსახ. ... ჟირარდო

63. სხეული თავის და კიდურების გარეშე

64. „იქ“ – ძველ ქართულში

65. ლენონის ქვრივი იოკო ...

66. კოლხეთის ანტიკური სახელწოდება

67. ნადირობა აფრიკაში

68. სასწორის თეფში

69. თხელი ტალახი

70. პურის კიდე

71. ბგერის გრაფიკული ნიშანი

72. მომღერალი ... ჯონსი

73. მუს. გამის პირველი ძირითადი ტონი

74. აზროვნებას მოკლებული ადამიანი

75. მთავარი საწყობი

76. დიდი გარმონი

77. ელექტროტექნიკის მწარმოებელი იაპონური ფირმა

78. იაპონური ორთაბრძოლის, ძიუდოს დამფუძნებელი

79. სუსტი ქარი, ნიავი

80. სამიზნე თოფის ლულაზე

81. პატარა ორთვლიანი საზიდარი

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.